თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 32-ე წელი

ოთხშაბათი, 13 თებერვალი, 1952 წ. № 37 (9197). ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთშია

მაღალი აკადემიური მაჩვენებლებისათვის სკოლებში—მოწინავე (1-ლი გვერდი).

როგორ ვაღწევ ლითონის ჩქაროსნულ დამუშავებას (1-ლი გვერდი).

დ. ლომთაძე — დღეს სამგორის ველზე (მე 2 გვერდი).

სასამართლო ორგანოების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი (მე-2 გვერდი).

კოლმეურნეობის წლიური ანგარიში (მე-3 გვერდი).

უპასუხისმგებლობა მანქანების მოვლაში (მე-3 გვერდი).

საბჭოთა მშენებლობა—სასოფლო საბჭოს დეპუტატთა ინიციატივა (მე-3 გვერდი).

გ. გოლეთიანი, დ. ფაილოძე — ფართოდ დავნერგოთ მეცნიერების მიღწევები და მოწინავეთა გამოცდილება (მე-3 გვერდი).

საერთაშორისო მიმოხილვა (მე-4 გვერდი).

კორეის ამბები (მე-4 გვერდი).

ჩინური ჟურნალი საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ხელშეკრულების ორი წლისთავის შესახებ (მე-4 გვერდი).

გერმანიის ეკონომიური და პოლიტიკური ერთიანობისათვის (მე-4 გვერდი).

მშვიდობის მომხრეთა მიტინგი თეირანში (მე-4 გვერდი).

## მაღალი აკადემიური მაჩვენებლებისათვის სკოლებში

ჩვენი პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს მზრუნველობას იჩენენ სასკოლო მშენებლობისა და სწავლა-აღზრდის გაუმჯობესების საქმისადმი. საბჭოთა სახელმწიფო ყოველწლიურად უდიდეს თანხებს ხარჯავს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის ურყევად გატარებისათვის, ახალ სასკოლო შენობათა აგებისათვის, სკოლებში მტკიცე მატერიალური ბაზის შექმნისა და მასწავლებელთა კვალიფიციური კადრებით მათი განმტკიცებისათვის.

პარტიისა და მთავრობის ამ დაუცხრომელ მზრუნველობას სახალხო განათლების დარგის მუშაკები უპასუხებენ სკოლებში სწავლა-აღზრდის საქმის უფრო გაუმჯობესებით. წელს ჩვენი რესპუბლიკის სკოლებმა უკეთესი წარმატება მოიპოვეს, ვიდრე წინა წლებში, კარგი აკადემიური მაჩვენებლებით დაამთავრეს სასწავლო წლის პირველი ნახევარი და ორგანიზებულად განაგრძობენ მუშაობას მეორე ნახევარშიც.

ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, რომელიც მიმდინარე სასწავლო წელს ჩვენი სკოლების წინაშე დგას, არის დიდი სტალინის გენიალური საენათმეცნიერო შრომების საფუძველზე მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების გარდაქმნა. ამ მხრივ ჩვენმა სკოლებმა დიდი წარმატება მოიპოვეს, რაც მკვეთრად გამოვლინდა სასწავლო წლის პირველი ნახევრის შედეგების შეჯამების დროს. აღსანიშნავია თბილისის ქალთა მე-2, მე-6, მე-10, 45-ე, ვაჟთა მე-6, მე-7, 24-ე და მთელი რიგი სხვა სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მუშაობა. ენის სწავლების საქმე საგრძნობლად გააუმჯობესეს აგრეთვე საქართველოს მრავალი რაიონის სკოლებში; ამაღლდა ენის მასწავლებელთა პასუხისმგებლობის გრძნობა, ისინი მოსწავლეებს აჩვევენ სწორი, გამართული ლიტერატურული ენით მეტყველებას და წერას. სკოლების დიდმა ნაწილმა გადაჭრით გააუმჯობესა აგრეთვე რუსული ენის სწავლება. მაგრამ იგივე როდი ითქმის ზუგდიდის, ლაგოდეხის, დუშეთის, წალენჯიხის, ხობის, ჩხოროწყუს, საჩხერის სკოლების უმეტესობაზე, სადაც ენების სწავლება ჯერ კიდევ არა დგას მკვიდრ ნიადაგზე. ამ რაიონების სახალხო განათლების ორგანოებმა სერიოზული მუშაობა უნდა გასწიონ ამ მიმართულებით.

სკოლებში სწავლა-აღზრდის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების ურთიერთგაზიარებას, ამ გამოცდილების გადაქცევას მასწავლებელთა ფართო საზოგადოებრიობის კუთვნილებად. ამ მიზანს ემსახურება „პედაგოგიკური კითხვა", რომელიც მოეწყო თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, სტალინირსა და გორში. მოწინავე, გამოცდილ პედაგოგთა მომზადებულმა და საინტერესო გამოსვლებმა უფრო მეტი შინაარსი მისცა მასწავლებელთა იანვრის მეთოდურ თათბირებსაც.

როგორც სასწავლო წლის პირველი ნახევრის შედეგები მოწმობს, ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე არ არის მასწავლებელთა კვალიფიციური კადრების შერჩევისა და მოსწავლეთა აკადემიური დონის ამაღლების მხრივ.

როგორც ცნობილია, მასწავლებელი სკოლის ცენტრალური ფიგურაა. მას გადამწყვეტი როლი ენიჭება სწავლა-აღზრდის წარმატებით დაყენების საქმეში. ამიტომ მასწავლებელთა კადრების შერჩევა უნდა გამორიცხავდეს ყოველგვარ მიკერძებას, შინაურობას. მასწავლებელთა კადრების შერჩევის დროს უნდა გამოვდიოდეთ ახალი თაობის კომუნისტური აღზრდის ინტერესებიდან, მას უნდა ვუდგებოდეთ წმიდა სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით.

ამ ელემენტარულ ჭეშმარიტებას ზოგჯერ ივიწყებენ სკოლის დირექტორები და სახალხო განათლების ორგანოები, რასაც მუშაობაში უარყოფითი შედეგები მოსდევს. გუდაუთის რაიონის ფსირცხის რვაწლიანი სკოლის დირექტორმა მოახერხა თავის სკოლაში სამუშაოდ დაენიშნა და, ძმა, ცოლი და სხვა ნათესავები. ანალოგიური მდგომარეობა იყო გალის რაიონის ჭუბურხინჯის საშუალო სკოლასა და გაგრის მეორე საშუალო სკოლაში.

მასწავლებელთა კადრების შერჩევის საქმეში სერიოზული დამახინჯებები გამომჟღავნდა ზუგდიდის, წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონებში. პედაგოგიური კადრების არასწორად დაკომპლექტება ერთ-ერთი მიზეზია მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენილობისა. ამ მხრივ თბილისის სკოლებშიც არ არის სახარბიელო მდგომარეობა. თბილისის 89.025 მოსწავლიდან სწავლაში ჯერ კიდევ ჩამორჩება 15.025 მოსწავლე, ესე-იგი ერთ მეხუთედზე მეტი, მათგან 8.183 პიონერია, რაც პიონერთა შორის მუშაობის ერთგვარი მოდუნებით უნდა აიხსნას.

უკეთესი მდგომარეობა არც საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარებისა და მეორეწლიანობასთან ბრძოლის საქმეში არის. აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში სკოლის გარეთ არის 5.155 ბავშვი, რაც ყოვლად შეუწყნარებელია. მეორეწლიანობის აღმოსაფხვრელად არადამაკმაყოფილებლად იბრძვიან აჭარის ასს რესპუბლიკაში, ბოგდანოვკის, ასპინძის, გორის, ქარელის, თერჯოლის, ტყიბულის და მთელ რიგ სხვა რაიონებში. სახალხო განათლების რაიონული, საოლქო და რესპუბლიკური ორგანოები ჯერ კიდევ სუსტად ეხმარებიან სკოლებს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განუხრელად გატარებასა და მეორეწლიანობის აღმოფხვრაში, დროზე არ სწავლობენ აკადემიური ჩამორჩენის მიზეზებს, არ იღებენ ქმედით ზომებს არასაპატიო მიზეზით გაცდენა-დაგვიანების წინააღმდეგ.

დიდი პასუხსაგები ამოცანები დგას ამჟამად ჩვენი სკოლებისა და სახალხო განათლების ორგანოების წინაშე. კარგა ხანია დაიწყო სასწავლო წლის მეორე ნახევარი, სასწავლო წლის შემაჯამებელი და დამამთავრებელი ეტაპი. სასწავლო წლის მეორე ნახევარში ძირფესვიანად უნდა აღმოიფხვრას ის შეცდომები და დარღვევები, რომლებიც წლის პირველ ნახევარში იყო და რომელთა შესახებაც სამართლიანად ილაპარაკეს პედაგოგებმა იანვრის მეთოდურ თათბირებზე. არ შეიძლება შევურიგდეთ საგნის სწავლებაში ზერელობას, გაკვეთილზე მასწავლებელთა მოუმზადებლად გამოცხადებას, მოსწავლეთა ცოდნის შეფასებისადმი ლიბერალურ დამოკიდებულებას.

განსაკუთრებით დიდი მუშაობა მართებთ მეთერთმეტე კლასის მშობლიური ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის და რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს. ამ საგნების მასწავლებლებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ მეთერთმეტეკლასელთა წერითი ნამუშევარი სკოლის მთელი საქმიანობის ერთგვარ საზომს წარმოადგენს.

სასკოლო და ადგილობრივი პარტიული, კომკავშირული ორგანიზაციების ვალია დაეხმარონ სკოლის ადმინისტრაციას პედაგოგთა კოლექტივის მობილიზებასა და დარაზმვაში, რათა მკვიდრ ნიადაგზე იქნას დაყენებული სწავლა-აღზრდის საქმე, ამაღლდეს მოსწავლეთა აკადემიური დონე. უნდა გვახსოვდეს, რომ სასწავლო წლის მეორე ნახევარში გეგმიანი და გონივრული მუშაობა ძირითადად წყვეტს სასწავლო წლის წარმატებით დამთავრების საქმეს.

## მოწინავე ტრესტი და შახტები

**ტყვარჩელი.** („კომუნისტის" კორ.). მეშახტეთა მძლავრი საწარმოო აღმავლობა გამოიწვია ცნობამ იმის შესახებ, რომ საკავშირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს გადაწყვეტილებით 1951 წლის მეოთხე კვარტალის შედეგების მიხედვით საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში საუკეთესო წარმატებების მოპოვებისათვის ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის კოლექტივს კვლავ დარჩა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და მიეკუთვნა ფულადი პრემია 60 ათასი მანეთის რაოდენობით.

საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს აგრეთვე ამავე ტრესტის სტალინის სახელობისა და ბერიას სახელობის შახტების კოლექტივებმა. ბერიას სახელობის შახტს კვლავ დარჩა საკავშირო პროფსაბჭოსა და ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა და მიენიჭა პირველი პრემია—150 ათასი მანეთი, სტალინის სახელობის შახტს კი მიეკუთვნა მეორე პრემია—80 ათასი მანეთი.

ტყვარჩელელი მეშახტეები უფრო მეტი ენერგიით მუშაობენ 1952 წელს და თავდადებით იბრძვიან ტყიბულელ მეშახტეებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის. ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტმა სათბობის ამოღების იანვრის გეგმა 107 პროცენტით შეასრულა. იანვრის საწარმოო დავალება დიდი გადაჭარბებით გაანაღდა ტრესტის ყველა შახტმა.

## მოწინავე კოლმეურნეობა

**საგარეჯო.** (საქ. კორ.). მიმდინარე წლის გაზაფხულზე სართიჭალის გამსხვილებულმა კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე შ. გოგიტაშვილი) სხვადასხვა სახის მარცვლოვანი, ბოსტნეული, საკვები და სასილოსე კულტურები 1.350 ჰექტარზე უნდა დათესოს. ამისათვის მზრალად მოხნულია 1.100 ჰექტარი. კოლმეურნეობამ დროზე და საჭირო რაოდენობით დაამზადა კონდიციური თესლი. მინდვრად გატანილია 650 ცენტნერი მინერალური სასუქი. საშემოდგომო თავთავიანი კულტურების ნათესების გამოკვებაც დაიწყეს. შეუდგნენ ჯეჯილის მარგვლას.

კოლმეურნეობას ემსახურება 3 სატრაქტორო ბრიგადა 21 ტრაქტორით. საკოლმეურნეო მინდვრებზე გასულია 5 ტრაქტორი, რომლებმაც დაიწყეს ნიადაგის შერჩევით ხვნა.

ბოსტნეულის სარითილე მასალისათვის 8 ჰექტარზე მოაწყეს 5 კვალსათბური, სადაც ვარაუდობენ დიდძალი საადრეო ბოსტნეულის მოყვანას. კარგად მუშაობენ ორჯონიკიძის რაიონიდან ჩამოსული, სამგორის მიწაზე ახლადდასახლებული კოლმეურნეები.

## დროშები და პრემიები შეჯიბრებაში გამარჯვებულებს

პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს საწარმოებს შორის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების 1951 წლის მე-4 კვარტალის შედეგები. პრეზიდიუმმა შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნო თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამართველო (მმართველი გ. სიხარულიძე, პარტბიუროს მდივანი ვ. ბერუჩაშვილი, ადგილკომის თავმჯდომარე ს. ქსოვრელი), რომელსაც გადაეცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და მიეკუთვნა პირველი ფულადი პრემია 45 ათასი მანეთი.

## იზრდება ხორბლის სათესი ფართობი

**დუშეთი.** (საქ. კორ.). რაიონის ბარის ზონის კოლმეურნეობებში აფართოებენ ხორბლის სათეს ფართობს. 1951 წელს ჯაგნარისაგან გაწმენდით კოლმეურნეობებმა 243 ჰექტარი ახალი ფართობი აითვისეს.

მიწების ათვისება ახლაც გრძელდება. ამ საქმეში დიდი წარმატება აქვს სოფელ მჟადიჯვრის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას, რომელმაც შარშან ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 15 ჰექტარისა 30 ჰექტარი ახალი ფართობი აითვისა. წელს დუშეთის მტს-ის დახმარებით მჟადიჯვარში ასუფთავებენ ჯაგნარიან ფართობებს. ამ გზით შემოიმატებენ 70 ჰექტარ სახნავ-სათეს მიწას, რომელზეც ხორბალს დათესავენ.

## პრემია-დანამატი მეჩაიე კოლმეურნეობებს

**ტყიბული.** (საქ. კორ.). მეჩაიე კოლმეურნეობები ჩაის პლანტაციებიდან ყოველწლიურად სულ უფრო მეტ შემოსავალს იღებენ. გასულ წელს კოლმეურნეობებმა ჩაის მწვანე ფოთლის ჩაბარებისათვის სახელმწიფოსაგან მარტო პრემია-დანამატის სახით 779.200 მანეთი მიიღეს. 8.198 მანეთი პრემია-დანამატი მიიღო სოფელ ცუცხვათის ბერიას სახელობის მეჩაიე კოლმეურნეობამ. 65 ათას მანეთზე მეტი პრემია-დანამატი ერგო სოჩხეთის გამსხვილებულ კოლმეურნეობას. ასევე დიდი რაოდენობით მიიღეს პრემია-დანამატი გურნის, ოჯოლის, კურსების და სხვა მოწინავე მეჩაიე კოლმეურნეობებმა.



სტახანოველი-ნოვატორი ა. **მარგველაშვილი** — სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ხარატი.

## როგორ ვაღწევ ლითონის ჩქაროსნულ დამუშავებას

★

ა. მარგველაშვილი

★

ლითონის დამუშავების საქმეში შრომის ნაყოფიერების ამაღლების მთავარი საშუალებაა ჭრის სიჩქარის გადიდება და დამხმარე დროის შემცირება. ლითონის ჩქაროსნულ ჭრაზე ორი წლის წინათ გადავედი. ვმუშაობ ცნობილი ლენინგრადელი ხარატის გ. ბორტკევიჩის მეთოდით ნულგრადუსიანი და უარყოფითკუთხიანი საჭრისებით. ჩქაროსნულ ჭრაზე გადასვლის წინ მნიშვნელოვანი ტექნიკური ღონისძიება განვახორციელე შპინდელის ბრუნვის გასადიდებლად. ამისათვის დაზგას მოტორი გამოვუცვალე, უფრო მძლავრი, 7 ცხენისძალიანი მოტორი დავაყენე, რითაც წუთში 1.000-მდე გავადიდე შპინდელის ბრუნვა და 350 მეტრამდე ავიყვანე ჭრის სიჩქარე.

დეტალის დამუშავებისას დამხმარე დროის შემცირებაში დიდად დამეხმარა სპეციალური სამარჯვი, ეგრეთწოდებული კუთხოვანი მოწყობილობა, რომელიც შარშან გამოვიგონე. ახალი სამარჯვის გამოყენების შემდეგ მუშტების ცალცალკე მოჭერა აღარ მჭირდება. ამან საგრძნობლად გამიადვილა დაზგაზე დასამუშავებელი დეტალის დამაგრება-ჩამოხსნა. ეს სამარჯვი საშუალებას მაძლევს დასამუშავებელი დეტალი დაზგაზე გაცილებით უფრო სწრაფად და მყარად დავაყენო, გავადიდო დამუშავების სიზუსტე და დავაჩქარო ლითონის ჭრა. კუთხოვანი მოწყობილობის გამოყენებით 15 წუთით შევამცირე დამხმარე დრო თვითეული ასეთი დეტალის დამუშავებისას და ამით საგრძნობლად ავამაღლე შრომის ნაყოფიერება.

შარშან დეკემბერში საამქროში პირველად ვცადეთ მინერალკერამიკული საჭრისების გამოყენება. ამ საჭრისებით პირველი საცდელი მუშაობა ჩემთან ერთად დაევალათ სტახანოველ ხარატებს ი. ჭუმბურიძეს და ნ. გავრიკოვს. ხელმძღვანელობას გვიწევდა რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა თბილისის ინსტიტუტის ფიზიკის კათედრის უფროსი, დოცენტი ა. ავაქოვი. პირველ რიგში მინერალკერამიკული საჭრისებით ვცადეთ ორთქლმავლის ტაბიკების, ბორმსის რგოლებისა და ტანდემტუმბოს ჭოკების სუფთა გამოხარატება. ჭრა ვაწარმოეთ 0,5 მილიმეტრის სიღრმით, წუთში 400-500 მეტრის სიჩქარით, ამასთან დეტალის ერთხელ შემობრუნებისას საჭრისის მიწოდების სიჩქარე უდრიდა 0,1—0,2 მილიმეტრს. ასეთი რეჟიმის პირობებში მინერალკერამიკული საჭრისით მუშაობამ კარგი შედეგი მოგვცა.

მინერალკერამიკულ საჭრისს აქვს ერთი ნაკლი, იგი მეტად მყიფეა. ამის გამო დარტყმას ვერ უძლებს და ლითონის პირველადი დამუშავებისას, კერძოდ აგლეჯის ოპერაციის შესრულებისას, ადვილად ტყდება. დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა მეცნიერები ადვილად აღმოფხვრიან მინერალკერამიკული საჭრისის ამ ნაკლს და ამით ასეთ საჭრისებს ვარგისს გახდიან ლითონის არა მარტო სუფთა, არამედ პირველადი დამუშავებისთვისაც. უკვე ჩატარებული ცდები გვაფიქრებინებს, რომ გარკვეული ტექნოლოგიური რეჟიმის პირობებში მინერალკერამიკული საჭრისებით შესაძლებელია ლითონის პირველადი დამუშავებაც.

შარშან სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება გადაჭარბებით გავანაღდე და ორნახევარი წლის ნორმა გამოვიმუშავე. ამჟამად დღიურ დავალებას სისტემატურად 250-270 პროცენტით ვასრულებ. განზრახული მაქვს 25 თებერვლისათვის 5 თვის გეგმა შევასრულო.

## მეცნიერებისა და გამომგონებლობის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტში

11 თებერვალს აკადემიკოს ა. ნ. ნესმეიანოვის თავმჯდომარეობით გრძელდებოდა მეცნიერებისა და გამომგონებლობის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტის პლენუმი. განხილულ იქნა 1951 წლის სტალინური პრემიების მოპოვებისათვის წარდგენილი ნაშრომები.

გუშინ განხილულ იქნა სასოფლო-სამეურნეო, სატრანსპორტო და საგზაო მანქანათმშენებლობაში, მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობაში, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პრაქტიკაში დანერგილი გამოგონებანი და საწარმოო მუშაობის მეთოდების ძირეული გაუმჯობესებანი.

ნაშრომთა განხილვაში მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოსებმა ტ. დ. ლისენკომ და ბ. ა. ვვედენსკიმ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა-კორესპონდენტმა ვ. ი. დიკუშინმა და გ. ნ. ვედენისოვმა, დაზგათმშენებლობის მინისტრმა ა. ი. კოსტოუსოვმა, მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის მინისტრმა დ. ი. რაიზერმა, სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის მინისტრმა ი. ე. მაკსარევმა და სხვებმა.

(საქტასი).

## ტექნიკური კონფერენცია თვითღირებულების საკითხზე

**ჭიათურა.** (საქ. კორ.). კარგი თაოსნობა გამოიჩინა ლენინის სახელობის მაღაროს კომკავშირულმა ორგანიზაციამ, როცა ახალგაზრდობის ტექნიკური კონფერენცია მიუძღვნა პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საკითხს.

მაღაროს შრომის განყოფილების უფროსმა ინჟინერმა ვენერა ერქომაიშვილმა წაიკითხა მოხსენება — „წარმოებაში მასალების მომჭირნეობით ხარჯვა და თვითღირებულების შემცირების გზები". მომხსენებელი განსაკუთრებით შეჩერდა აკადემიკოს გ. წულუკიძის და ინჟინერ შ. შეყლაშვილის კონსტრუქციის გადასატანი ბიგების გამოყენებაზე, რაც დიდძალ სამაგრ მასალას ზოგავს, და აღნიშნა, რომ ბოლო ხანებში ნაკლები ყურადღება ექცევა პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ამ საუკეთესო მეთოდის გამოყენებას. მომხსენებელმა მოიყვანა მომჭირნეობით მუშაობის კონკრეტული მაგალითები და დაასახელა მოწინავე მბურღავი გ. შეყლაშვილი, რომელმაც ერთ თვეში 3.000 მანეთი დაზოგა. ასეთი მაგალითი ბევრია. ამხ. ერქომაიშვილი შეეხო აგრეთვე თვითღირებულების შემცირებისათვის მექანიზმების მაქსიმალურად გამოყენების, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების და პროდუქციის ხარისხის ამაღლების საკითხს.

თანამოხსენებით „მექანიზმის როლი შრომის ნაყოფიერების გადიდების საქმეში" გამოვიდა ახალგაზრდა ინჟინერი ა. მგალობლიშვილი. ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვის მნიშვნელობაზე ილაპარაკა ახალგაზრდა ინჟინერმა ზ. ციცვიძემ.

კონფერენციაზე სიტყვებით გამოვიდნენ ინჟინრები გ. გოგიშვილი, ლ. ჯინორიძე, მ. ფხალაძე, მაღაროს მთავარი ბუხჰალტერი პ. გაფრინდაშვილი, მაღაროს დირექტორი აკ. ფხალაძე და პარტბიუროს მდივანი გ. ყიფშიძე.

გამოითქვა აზრი ფართოდ გაჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება მარგანეცის თვითღირებულების შემდგომი შემცირებისათვის.

## მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გავრცელებისათვის

**რუსთავი.** (საქ. კორ.). ამ დღეებში შედგა მძიმე მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს „გლავიუგსტროის" სამშენებლო ტრესტების სტახანოველთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა თათბირი, რომელიც მიეძღვნა მშენებელთა მოწინავე მეთოდების განზოგადების საკითხს. თათბირზე მოხსენებით გამოვიდა „გლავიუგსტროის" მთავარი ინჟინრის მოადგილე ა. გორშკოვი. მან ვრცლად ილაპარაკა „გლავიუგსტროის" სამშენებლო ტრესტების სხვადასხვა პროფესიის მშენებელთა მუშაობის ახალ მეთოდებზე და მათი გამოცდილების გავრცელების დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაზე.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს „სტალინგრადმეტალურგმშენის", ამიერკავკასიის მეტალურგმშენისა და სხვა სამშენებლო ტრესტების ინჟინერ-ტექნიკოსებმა და სტახანოველმა მშენებლებმა. მათ თათბირზე დამსწრეებს გაუზიარეს თავიანთი მუშაობის გამოცდილება.

თათბირზე განსაკუთრებული ინტერესით იქნა მოსმენილი ცნობილი ნოვატორი კალატოზის ა. კანაევის, რუსთაველის სახელმოხვეჭილი მშენებლების — კალატოზების შ. ბექაურის, ქ. ლიხოტას, მებათქაშეების ი. მამუკელაშვილის, ე. ელიზაროვისა და სხვების სიტყვები მათი საწარმოო გამოცდილების შესახებ.

## ციალა ღლონტის მეთოდით

**წულუკიძე.** (საქ. კორ.). ძაფსახვევი ფაბრიკის ბევრი მუშა წარმატებით ეუფლება ცნობილი ნოვატორის ციალა ღლონტის მუშაობის მეთოდს. დღითიდღე იზრდება მრავალდაზგოსანთა რიგები.

აბრეშუმის ძაფის სტახანოველი ამომხვევი ეთერ ფარცვანია, ციალა ღლონტის მაგალითისამებრ, გადავიდა 6 დაზგის მომსახურებაზე და დღიურ ნორმას მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს. 8 მუშა იანვრიდან ერთის ნაცვლად სამ-სამ დაზგაზე მუშაობს და საუკეთესო მაჩვენებლებს აღწევს როგორც შრომის ნაყოფიერების ამაღლების, ისე პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში.

ფაბრიკაში გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა არმიის 34-ე წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 31-ე წლისთავის აღსანიშნავად. იანვრის გეგმა წულუკიძელმა მეაბრეშუმეებმა 120,2 პროცენტით შეასრულეს. 1951 წელთან შედარებით იანვარში ხამი აბრეშუმის ძაფის პირველი და მეორე ხარისხი გაუმჯობესებულია 14,6 პროცენტით, კრეპის პირველი და მეორე ხარისხი კი 19,7 პროცენტით.

# ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲛᲒᲝᲠᲘᲡ ᲕᲔᲚᲖᲔ

დიდი ცვლილებები მომხდარა სამგორის ველზე იმ დაუვიწყარი სახალხო ზეიმის შემდეგ, რომელიც ყოფილი მლაშე ტბების მიდამოებში გაიმართა 1951 წლის 4 ნოემბერს სტალინის სახელობის სამგორის სარწყავი სისტემის ზემო მაგისტრალური არხის გახსნისა და თბილისის წყალსაცავში ივრის წყლის მიღების აღსანიშნავად.

აღარ არსებობენ მლაშე ტბები. პეჯითად „უმუშავნია“ ივრის წყალს, პირველ რიგში ორი მლაშე ტბა—კუკიისა და ილღუნიანისა წაუშლია, ამ სამი თვისა და რამდენიმე დღის განმავლობაში მათ ადგილას ზღვად დაგუბებულა. ხალისიანად ატოკებს „ზღვა“ თავის ტალღებს, შეტევით მიიწევს ნაპირებისკენ და, გულღიად გადაშლილი, წარმტაც სანახაობას წარმოადგენს. წყლის ანაორთქლი ნისლად გადაჰფენია წყალსაცავს, შორეული გორაკი და ნაპირის მიდამოები ბურუსს დაუფარავს, წყალთან მისული ველარ ხედავს მეორე ნაპირს და ისეთი შთაბეჭდილება ექმნება, თითქოს მართლაც უნაპირო და თვალუწვდენი იყოს ეს „ზღვა“ და არა ჯერ ისევ ნორჩი წყალსაცავი.

უკვე მოფრენილან წყლის მოტრფიალე გარეული ფრინველები, თევზებიც გაჩენილან.

წყალსაცავის „სარკე“ თვალდათვალ ფართოვდება. ყოველ კვირა დღეს აუარებელი ცნობისმოყვარენი მოდიან მის სანახავად თბილისიდან. უეჭველია თბილისის „ზღვას“ გაზაფხულიდან კიდევ მეტი მნახველი ეყოლება, და სათანადო ორგანიზაციებმა ამთავითვე უნდა იზრუნონ ზაფხულობით აქ ჩამოსულთა მომსახურებისათვის. უნდა დაწესდეს ყველაზე შესაფერისი ადგილები პლაჟისათვის, არხის გაყოლებით უნდა გაკეთდეს გამაფრთხილებელი წარწერები შემთხვევათა თავიდან ასაცილებლად, უნდა მოწესრიგდეს სამგზავრო ავტობუსების მიმოსვლა ქალაქიდან წყალსაცავამდე, მიღებულ უნდა იქნას ზომები მოტორიანი და უმოტორო ნავების წყალსაცავში ჩასაშვებად.

* * *

წყალსაცავის აღმოსავლეთი მხრის მიდამოებში პატარალილოელმა კოლმეურნეებმა პირველად მოხნეს მრავალ საუკუნეთა განმავლობაში გამცდარი მიწა. ქვემო მაგისტრალური არხის სათავის მარჯვნივაც პირველად გავიდნენ გასულ შემოდგომაზე ტრაქტორები ყამირის გასატეხად. დიდი ხანი არ არის, რაც თოვლი გადნა, დაველზე ჯეჯილმა წამოყო თავი.

სხვა მორიგ სამუშაოებთან ერთად სამგორელ მშენებლებს ახალი გადაუდებელი სამუშაოც გაუჩნდათ. მარტის ბოლომდე მათ ამ ჯეჯილოვანი ფართობების მოსარწყავად ზემო მაგისტრალური არხიდან წყალი უნდა გაიყვანონ, ქსელი გაამზადონ და საქმე ისე მოაწყონ, რომ პირველი სამგორული გვალვისთანავე ნათესების მორწყვა უზრუნველყონ. სათანადო წყალგანმანაწილებელი ქსელის მშენებლობას უკვე შეუდგნენ, მშენებელთა საუკეთესო ბრიგადები აქ გადაიყვანეს.

დიდი მუშაობაა გაჩაღებული ქვემო მაგისტრალური არხის სათავის მხარეზე. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს წყალმიმღებ კოშკთან არხის დამაკავშირებელი გალერიის დაბეტონება, არხზე ხიდის აგება და მახლობელ დიდ ხევში აკვედუკის მშენებლობა. ეს აკვედუკი ერთ-ერთი დიდი ნაგებობაა ქვემო მაგისტრალურ არხზე. მისი აგება მინდობილი აქვთ სამგორში სახელგანთქმულ მშენებელთა იმ ბრიგადებს, რომლებსაც დავით ბზიშვილი, ლევან ლომიძე, გერვასი ტაბატაძე და არ. ახაევი ხელმძღვანელობენ.

წარმატებით განაგრძობენ დიუკერების მეორე წყალსასვლელი მილების მშენებლობას მთელ ტრასზე. ერთ-ერთ ხევში მეორე სადიუკერე მილის მშენებლობა მინდობილი აქვთ ცნობილ სამგორელ ნოვატორებს, ბეტონის საქმის ოსტატებს არჩილ სახლთხუციშვილს და ქარუმ გუცაშვილს. სამგორში ყველაზე უდიდესი სხვა დიუკერის მეორე მილის მშენებლობაზე მუშაობენ ვლადიმერ კიკნაძისა და გიორგი თითბერიძის ბრიგადები. მთელი ეს სამუშაოები მათ უნდა დაამთავრონ უახლოეს რამდენიმე თვეში, რათა თბილისის წყალსაცავისაკენ დიუკერების მეორე ხაზითაც გამოუშვან ივრის წყალი, დააჩქარონ წყალსაცავში წყლის დონის ამაღლება.

* * *

ნიკო მერაბიშვილის ბრიგადა, რომელსაც უდიდესი გამოცდილება აქვს არხების გაყვანაში, ახლა მე-11 წყალგანმანაწილებელი არხის გაყვანაზე მუშაობს. განმანაწილებლის გაყვანა ერთობ შრომატევადი და ძნელი საქმეა. მცირე გაბარიტის გამო ასეთი არხის გაყვანაზე მიწის სათხრელი მექანიზმების გამოყენება ძნელია, სამუშაო უმთავრესად ხელით უნდა შესრულდეს, შემდეგ მრავალი კილომეტრის მანძილზე ეს ქსელი ბეტონით უნდა იქნას მოპირკეთებული, ყოველ გარკვეულ მანძილზე უნდა გაკეთდეს განმანაწილებელი არხებიდან დროებითს მცირე არხებში (მესამე რიგის ქსელში) წყალმისაშვებები თავიანთი ურდულებით, ფარებით და მთელი მოწყობილობით.

ნიკო მერაბიშვილის ბრიგადას თუ სარწყავი განმანაწილებლის გაყვანაში აქვს გამოცდილება, არანაკლები გამოცდილება აქვს მიხეილ მჭედლიშვილის ბრიგადას დროებითი სარწყავი ქსელისა და წყალმისაშვებების მოწყობაში.

ახლა ორივე ბრიგადას გაჰყავს მე-11 განმანაწილებელი, რათა მარტის ბოლოსათვის სარწყავი ქსელი მზად იყოს, წელს პირველად მოხნული ნათესები გვალვას არ დააჩაგვრინონ.

ათასი ჰექტარია აქ მოხნული. მელანგადასხმულივით შავი მიწა უკვე იფარება მწვანე. ჯეჯილით, და მშენებლების ამოცანაა პირველი საჭიროებისთანავე მიაშველონ მას სარწყავი წყალი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ განმანაწილებლის მშენებლობას საგრძნობი დაგვიანებით შეუდგნენ, რადგან „წყალპროექტმა“ სამგორელი მშენებლები დროულად ვერ უზრუნველყო საპროექტო დოკუმენტაციით. მთავარ დაბრკოლებას ქმნის განმანაწილებელი არხის საგრძნობ მანძილზე დაბეტონება. მზა ბეტონის მოზიდვა მიზანშეწონილი არ არის ნათესთა გაფუჭების თავიდან აცილების თვალსაზრისით. ბეტონის ადგილობრივ დამზადებაც მრავალ სიძნელესთან არის დაკავშირებული. ყველა ამ უხერხულობის თავიდან ასაცილებლად მშენებლები ცდილობენ ისეთი ღონისძიებები გამოიყენონ, რომ არც ნათესები გაფუჭდეს და წყალგანმანაწილებელი ქსელის მოპირკეთებაც სწრაფად შეძლონ. საამისოდ შეუდგნენ ცდას არხის პროფილის მოსარგები ბეტონის დიდი ფილების საქარხნო წესით დასამზადებლად. ეს სამგორელი მშენებლების მნიშვნელოვანი ნოვატორული ცდაა, რაც დიდად გააადვილებს განმანაწილებელი ქსელების (მათი საერთო სიგრძე სამგორში მრავალ ათას კილომეტრს გადააჭარბებს) მშენებლობის დაჩქარებას.

* * *

მომავალი წლის ბოლოსათვის სტალინის სახელობის სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა ძირითადად უნდა დამთავრდეს. სისტემა დაყოფილი იქნება ცალკე სარწყავ უბნებად. ყოველ უბანს ეყოლება საკუთარი მომსახურე პერსონალი, მაგრამ ამავე დროს იქნება სისტემის საექსპლოატაციო ცენტრალური სამმართველო, რომელსაც ეყოლება მუშაკთა, სათანადო სპეციალისტთა შტატი.

სარწყავი სისტემის მომსახურე ამ მუშაკებისათვის სამგორის ველის სხვადასხვა ადგილას უკვე შეუდგნენ ახალი საცხოვრებელი დაბების გაშენებას. ამ საქმეს ხელმძღვანელობს ზემო მაგისტრალური არხის ყოფილი მშენებელი ინჟინერი სიმონ ჯიქურიძე. ბევრი რამ გაუკეთებიათ სამგორელ ბინათმშენებლებს ახალი საცხოვრებელი დაბების გასაშენებლად.

წყალსაცავის ზონაში დამთავრებულია რამდენიმე ახალი საცხოვრებელი სახლის აგება და მთავრდება რვა ახალი სახლის, აგრეთვე საუბნო სამმართველოს შენობის მშენებლობა. დიდი მუშაობაა გაშლილი ცენტრალური დაბის გასაშენებლად ორხევიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, ზემო და ქვემო მაგისტრალურ არხებს შუა მდებარე ტერიტორიაზე. აქ უნდა აგონ 20 საცხოვრებელი სახლი, კლუბის, აბანოს, მაღაზიის, პოლიკლინიკის შენობები, უნდა გაამწვანონ მთელი ტერიტორია, გაიყვანონ წყალსადენი და ა. შ. დაბის ქუჩები უკვე დაგეგმილია, დაწყებულია ცენტრალური ადმინისტრაციული კორპუსისა და რამდენიმე საცხოვრებელი სახლის აგება.

სამგორის ველის ყველა უბანზე მშენებელთა ხალისიანი შემოქმედებითი შრომაა გაჩაღებული: ახლად გაშენებული და მომავალში გასაშენებელი სოფლებისაკენ გაჰყავთ წყალსადენი, ქვემო მაგისტრალური არხის ტრასზე ემზადებიან დიუკერის მშენებლობის დასაწყებად, სამგორის პირველი ჰიდროელექტროსადგურის ასამუშავებლად, აჩქარებენ სამგორის პირველ ფართობთა მოსარწყავი ქსელების გაყვანას.

წელს პირველად იხილავენ სამგორელები მათ მიერ გაცოცხლებულ მიწაზე დაპურებულ ყანებს.

**დ. ლომთაძე**

# ᲛᲝᲫᲛᲔ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ

ამიერკავკასიის რკინიგზის მოწინავე საწარმოთა კოლექტივებმა ახალი ძალით გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება. მემანქანეები, მევაგონეები, მოძრაობის დარგის მუშაკები, ენერგეტიკოსები, მელიანდაგეები და მეკავშირეები თავიანთ ვალდებულებებში კისრულობენ ტვირთზიდვის 1952 წლის გეგმის მაღალი მაჩვენებლებით შესრულებას, ორთქლმავლებისა და ვაგონების შეკეთების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გადაჭარბებით განაღდებას, ლიანდაგისა და კავშირგაბმულობის ხაზის ჯანსაღ მდგომარეობაში შენახვას, მგზავრთა კულტურული მომსახურების გაუმჯობესებას, მოძრავი შემადგენლობის სრულყოფილად გამოყენებას.

ამიერკავკასიის რკინიგზის ცალკეულმა საწარმოებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ კავკასიის რკინიგზების საწარმოთა კოლექტივები და შეუდგნენ ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებას.

აზერბაიჯანის რკინიგზელები დიდი აღფრთოვანებით გამოეხმაურნენ ამიერკავკასიის რკინიგზელთა პატრიოტულ თაოსნობას და თავის მხრივ ახალი ვალდებულებანი იკისრეს.



ნოვაია კახოვკა. ზამთარში დნეპრზე ნავიგაცია არ შეჩერებულა. კარპაჭებს მოაქვთ საშენი მასალები, მექანიზმები და სხვა ტვირთები კახოვკის ჰიდროკვანძის მშენებლობისათვის. სურათზე: კარპაჭების მექანიზებული განტვირთვა ნავმისადგომებთან ნოვაია კახოვკაში.

ფოტო ი. დიხუტასი
(საქდესის ფოტოქრონიკა)

# ᲙᲐᲮᲝᲕᲙᲐᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲩᲐᲕᲘᲓᲐ

**ᲙᲐᲮᲝᲕᲙᲐ**, 10 თებერვალი. (საქდესი). დღეს კახოვკის ჰიდროკვანძის მშენებლობაზე სტალინის რკინიგზის საუკეთესო მემანქანემ ამხ. ბუხტიაროვმა პირველი მატარებელი ჩამოიყვანა.

შუადღის 12 საათზე ქვიშიან ბორცვებს, სადაც გზა გადის, მოეფინა ორთქლმავლის საყვირის ხმა. ჰესის ათასობით მშენებელი, კახოვკის კოლმეურნეობათა წევრები შეიკრიბნენ მატარებლის შესახვედრად. ლამაზად მორთული მატარებელი ჩერდება ჰიდროკვანძის მშენებელთა ქალაქის განაპირას გაკეთებულ თალთან. იწყება მიტინგი, მიძღვნილი ახალი რკინიგზის ხაზზე სადგურ ფედოროვკასა და კახოვკას შუა მატარებლების მიმოსვლის დაწყებისადმი.

პარტიის ხერსონის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ონიშჩენკო საწარმოო გამარჯვებას ულოცავს ჰიდროკვანძისა და გზის მშენებლებს.

სამხრეთის რკინიგზის სამშენებლოაღდგენითი სამუშაოების სამმართველოს უფროსი ამხ. ბონდარენკო აღნიშნავს, თუ რა დიდი სამუშაო შეასრულეს გზის მშენებლებმა. მათ მოკლე ვადაში 150 კილომეტრი სიგრძის ფოლადის მაგისტრალი გაიყვანეს დნეპრისპირა ველებში.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს პუშკინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის უხუცესმა კოლმეურნემ ამხ. ალექსეენკომ. დნეპრმშენის უფროსმა ამხ. ანდრიანოვმა, დნეპრის მშენებლობის სტახანოველმა ამხ. ვასილენკომ და სხვებმა.

ხერსონის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ბარილნიკმა გაჭრა წითელი ლენტი, და მატარებელი გაემართა ჰიდროკვანძის სამშენებლო მოედნისაკენ. ვაგონებში და პლატფორმებზეა ექსკავატორები, სატვირთო მანქანები, მძლავრი ამწეები, ბეტონსარეველები და სხვა მოწყობილობა და საშენი მასალები.

დაიწყო მატარებელთა მიმოსვლა რკინიგზის ხაზზე, რომელიც დნეპრის დიად მშენებლობას აკავშირებს ჩვენი ქვეყნის ძირითად მაგისტრალებთან. რკინიგზელებმა ვალდებულება იკისრეს პირველ კვარტალში სულ ცოტა ათას ხუთასი ვაგონი ტვირთები ჩამოიტანონ კახოვკაში.

# ᲙᲐᲡᲞᲘᲘᲡᲞᲘᲠᲐ ᲧᲐᲠᲐ-ᲧᲣᲛᲘᲡ ᲐᲗᲕᲘᲡᲔᲑᲐ

**ᲙᲝᲚᲡᲩᲐᲑᲘᲚᲘ.** (გურიევის ოლქი). (საქდესი). ყაზახეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ურალემბის ბაზის თანამშრომლებმა კასპიისპირა ყარა-ყუმში მდებარე ჟილოკოსინის რაიონის სტალინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელისათვის შეიმუშავეს რვამინდვრიანი ნათესბალახიანი თესლბრუნვის სქემა. მინდვრების მიჯნებზე დაირგვება ათასობით სხვადასხვა ხისა და ბუჩქის ნერგი. სასოფლო-სამეურნეო არტელი 150 ჰექტარზე დათესავს ხორბალს, ფეტვს, ჯუგარასა და ბოსტნეულ-ბაღჩეულს.

კოლმეურნეობამ შარშან გამოიყენა მიწისქვეშა წყალი და შექმნა ამ უდაბნოში პირველი სარწყავი ნაკვეთი, რომელზეც ხორბლის, ჯუგარის, ფეტვისა და ბაღჩეულის კარგი მოსავალი მოიყვანა.

ქვიშნარში სარწყავი ნაკვეთები შექმნეს აგრეთვე მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობამ, კოლმეურნეობა „ბერლიკმა“ და სხვა კოლმეურნეობებმა.

წელს მიწათმოქმედება კასპიისპირა ყარა-ყუმში მნიშვნელოვნად გაფართოვდება. მიწის დამუშავებას დაიწყებს ჟილოკოსინსკის რაიონის რვა კოლმეურნეობა.

# ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

9-10 თებერვალს თბილისში მიმდინარეობდა საქართველოს სასამართლო ორგანოების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი.

თათბირს ესწრებოდნენ სახალხო მოსამართლეები, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის მინისტრები და უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეები, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, თბილისისა და ქუთაისის ოლქების სამმართველოების უფროსები და ამ ოლქების საოლქო სასამართლოების თავმჯდომარეები, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს და უმაღლესი სასამართლოს ხელმძღვანელი მუშაკები, რესპუბლიკის პროკურატურის, მილიციის, სავაჭრო და სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

თათბირმა მოისმინა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის ამხ. ვ. მამალაძის მოხსენება სასამართლო ორგანოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

— გასული წლის 23 დეკემბერს, — თქვა მომხსენებელმა, — სხვა მოძმე რესპუბლიკების ხალხებთან ერთად საქართველოს მშრომელებმა მაღალი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ვითარებაში აირჩიეს სახალხო სასამართლოები. ამომრჩეველთა 99,98 პროცენტმა ხმა მისცა კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

სახალხო სასამართლოების შემადგენლობაში არჩეული არიან ადამიანები, რომლებსაც კარგად ესმით პარტიისა და მთავრობის პოლიტიკა და უნარი შესწევთ განუხრელად განახორციელონ სოციალისტური მართლმსაჯულება. უდავოა, რომ არჩევნებმა ხელი შეუწყო სახალხო სასამართლოების მუშაობის გაუმჯობესებას, აამაღლა მათი ავტორიტეტი და პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე. არჩევნებისათვის მზადების პერიოდში ამომრჩეველთა სამართლიანი კრიტიკა დაეხმარა სახალხო სასამართლოებს გამოესწორებინათ თავიანთი მუშაობის მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი.

ამხ. მამალაძე აღნიშნავს, რომ სასამართლო ორგანოებმა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს მათ წინაშე დასახულ ამოცანათა განხორციელებისათვის, მაგრამ ამ ორგანოების საქმიანობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც აფერხებენ სოციალისტური მართლმსაჯულების მტკიცედ განხორციელების საქმეს.

— პირველი და მთავარი ნაკლი, — განაგრძობს მომხსენებელი, — რასაც სასამართლოების მუშაობაში ვხვდებით, ის არის, რომ ჯერ კიდევ ბევრია განხილულ საქმეებზე არასწორი განაჩენისა და გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევები, განსაკუთრებით ისეთ დანაშაულთა მიმართ, როგორიც არის სახელმწიფო და საზოგადო ქონების მტაცებლობა, სპეკულაცია, მექრთამეობა და ხულიგნობა.

ზოგიერთი მოსამართლე აშკარა დამნაშავეთა მიმართ ავრცელებს შეღავათს და ავიწყდება თავისი პირდაპირი მოვალეობა — შეუნელებელი ბრძოლა აწარმოოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების მტაცებლებისა და ქურდების წინააღმდეგ, ავიწყდება, რომ „ქურდი, რომელიც სახალხო დოვლათს იტაცებს და ძირს უთხრის სახალხო მეურნეობის ინტერესებს, იგივე ჯაშუში და გამცემია, თუ უარესი არა“ (ი. სტალინი).

არადამაკმაყოფილებლად იბრძვიან სასამართლოები ისეთი საშიში დანაშაულის წინააღმდეგ, როგორიც არის მექრთამეობა. მომხსენებელი თათბირის მონაწილეებს მოაგონებს, ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში რა საზოგადოებრივად საშიშ დანაშაულად თვლიდნენ ლენინი და სტალინი მექრთამეობას და მოითხოვდნენ მკაცრად ყოფილიყვნენ დასჯილნი ამ დანაშაულში შემჩნეული პირები და მათი მფარველები.

ამხ. მამალაძე შეჩერდა დანაშაულის ისეთ გამოვლინებასთან ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობაზე, როგორიც არის ხულიგნობა. მან აღნიშნა და მრავალი კონკრეტული მაგალითით ცხადყო, თუ როგორ სუსტად ახორციელებენ სასამართლო ორგანოები კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს ხულიგნობის წინააღმდეგ.

მომხსენებელი მოაგონებს თათბირის მონაწილეებს: სოციალისტური მართლმსაჯულების ამოცანა არა მარტო ის არის, რომ დამნაშავეებს ღირსეული სასჯელი მიეზღოს, არამედ მისი კეთილშობილური მოვალეობაა მტკიცედ დაიცვას მოქალაქეთათვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებები და ინტერესები, არ დაუშვას მათი უდანაშაულოდ დასჯა.

მომხსენებელი თათბირის მონაწილეთა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს დანაშაულობასთან ბრძოლისათვის საქმეთა განხილვის ვადების ზუსტად დაცვას და დამნაშავეთა დროზე დასჯას. ამოცანა ის არის, რომ სახალხო სასამართლოებმა არ დაუშვან საქმეების განხილვისათვის დაწესებული ვადების დარღვევა და ამით უზრუნველყონ დანაშაულობათა წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა.

ეხება რა სამოქალაქო საქმეების განხილვის დარგში არსებულ მდგომარეობას, ამხ. მამალაძე აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანი დარღვევებია სამოქალაქო საკოლმეურნეო საქმეების განხილვის საქმეში. სასამართლოები სუსტად იბრძვიან სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის წინააღმდეგ. საქმეთა განხილვის დროს წესდების დარღვევაში გამოვლინებულ ფაქტებს უყურადღებოდ ტოვებენ, არ გამოაქვთ კერძო დადგენილებები და სათანადო ორგანიზაციების წინაშე არ აყენებენ ამ დარღვევათა საკითხებს. ცალკეულ საქმეებს, რომლებზეც კოლმეურნეები გამოდიან მოპასუხედ, გულდასმით არ სწავლობენ, განიხილავენ კოლმეურნეობის წარმომადგენელთა დაუსწრებლად, რაც ხშირად იწვევს კოლმეურნეობისათვის დიდი თანხების უსაფუძვლოდ დაკისრებას.

განსაკუთრებით ცუდად მუშაობენ სახალხო სასამართლოები საალიმენტო საქმეებზე. ამით უნდა აიხსნას ის ფაქტიც, რომ სსრ კავშირის და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროების სახელზე მიღებულ განცხადებათა და საჩივართა დიდი უმრავლესობა შეეხება ალიმენტების საკითხს და ამ საკითხისადმი ზოგიერთ მოსამართლეთა უყურადღებო, ზერელე დამოკიდებულებას.

—სასამართლოს მუშაობა, — განაგრძობს მომხსენებელი,—მნიშვნელოვანწილად შეფასებულ უნდა იქნას იმის მიხედვით, თუ როგორ უზრუნველყოფს იგი თავის დადგენილებათა შესრულებას. ამიტომ მოსამართლეები განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდნენ სასამართლო აღმასრულებელთა მუშაობას. ამ მხრივ საქმე ჩვენს სასამართლოებში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. იმის გამო, რომ სახალხო სასამართლოები დროზე არ იღებენ ზომებს კონფისკებული ქონების სარეალიზაციოდ, არის ქონების გადამალვისა და განიავების ფაქტები.

სახალხო სასამართლოების მუშაობის გაუმჯობესების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს მოსამართლეთა ანგარიშგებას ამომრჩევლებისადმი. საჭიროა მივაღწიოთ მოსამართლეთა ანგარიშის სისტემატურად მოსმენას და მათთვის სათანადო პრაქტიკული მითითებების მიცემას.

საქართველოს სსრ იუსტიციის ორგანოების ამოცანაა განსაკუთრებული დახმარება გაუწიონ ახლადარჩეულ სახალხო მოსამართლეებს და უზრუნველყონ მათი მუშაობის მაღალი ხარისხი. სერიოზულ ამოცანას წარმოადგენს აგრეთვე სახალხო მსაჯულებთან მუშაობის გაუმჯობესება. სახალხო მოსამართლეებმა სისტემატური მუშაობა უნდა აწარმოონ მათთან. შეასწავლონ მათ საბჭოთა კანონები, სასამართლო წყობილების ძირითადი საკითხები, მსაჯულთა უფლება-მოვალეობანი.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სასამართლო ორგანოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენს სასამართლოს ზოგიერთი მუშაკის იდეურ-პოლიტიკური მომზადების დაბალი დონე. საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების მუშაკები შეუნელებლად იმაღლებდნენ თავიანთი იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონეს, ეუფლებოდნენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, რომელიც საშუალებას იძლევა სწორად გავერკვეთ ვითარებაში, ობიექტურად შევაფასოთ მოვლენები და ფაქტები და გავაკეთოთ საჭირო დასკვნები.

იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესების აუცილებელი პირობაა კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაშლა, ნაკლოვანებათა დროულად მხილებისა და გამოსწორებისათვის ბოლშევიკური ბრძოლა. ამ მიმართულებით განსაკუთრებით დიდი ამოცანები დგას იუსტიციის ორგანოთა პარტიული ორგანიზაციების წინაშე, რომელნიც მოწოდებულნი არიან კი არ მიჩქმალონ, არამედ მოუდგომლად ამხილონ ნაკლოვანებანი სასამართლო ორგანოთა მუშაობაში, დასახონ და გაატარონ პრაქტიკული ღონისძიებანი მათი გამოსწორებისათვის.

დასასრულ ამხ. მამალაძე შეჩერდა იუსტიციის სამინისტროს აპარატის მუშაობის ნაკლოვანებებზე, სასამართლო ორგანოების კადრების შერჩევა-განაწილებისა და აღზრდის საქმეში არსებულ უარყოფით მოვლენებზე და ამ ნაკლოვანებათა გამოსწორების პრაქტიკულ ღონისძიებებზე.

მოხსენების გამო გაიმართა გაცხოველებული კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 25 კაცმა, მათ შორის: ალ. მგალობლიშვილმა (თბილისის ბერიას რაიონის მეორე უბნის სახალხო მოსამართლე), ნინო გობრონიძემ (მახარაძის რაიონის მეორე უბნის სახალხო მოსამართლე), მ. ჩინოიანმა (ახალქალაქის რაიონის სახალხო მოსამართლე), ვ. ბერძენიშვილმა (ბათუმის მესამე უბნის სახალხო მოსამართლე), ი. მამედოვმა (გარდაბნის რაიონის სახალხო მოსამართლე), მ. ბიგვავამ (ტყვარჩელის სახალხო მოსამართლე), ნ. ბიბილაშვილმა (გორის მეორე უბნის სახალხო მოსამართლე), ი. ოდიშვილმა (საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე), მ. შალამბერიძემ (საქართველოს სსრ მილიციის უფროსის მოადგილე), შ. ლასურიამ (აფხაზეთის ასსრ იუსტიციის მინისტრი), შ. ბანცურმა (წალკის რაიონის მეორე უბნის სახალხო მოსამართლე), ა. ზამბახიძემ (საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ქუთაისის საოლქო სამმართველოს უფროსი), ლ. რუხაძემ (ცეკავშირის გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარე), რ. კომახიძემ (აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრი), ს. ჭელიძემ (საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს თბილისის საოლქო სამმართველოს უფროსი), ბ. ფურცხვანიძემ (საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე) და სხვ.

თათბირი ვერ დააკმაყოფილა თეთრი წყაროს რაიონის მეორე უბნის და თბილისის სტალინის რაიონის 1-ლი უბნის სახალხო მოსამართლეების ტ. ბარბაქაძისა და ნ. ლასხიშვილის გამოსვლამ. მათი სიტყვები ზერელე იყო და წარმოადგენდა მათს მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა გამართლების დაუსაბუთებელ ცდებს.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. რ. კვირკველიამ. ამხ. კვირკველიამ რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების მუშაკთა წინაშე დააყენა კონკრეტული ამოცანები, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს სასამართლო ორგანოების მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებას — სოციალისტური საკუთრების დამტაცებლობის, გამფლანგველობის, მექრთამეობისა და სხვა საშიშ სოციალურ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

თათბირმა მოხსენების გამო მიიღო სათანადო დადგენილება.

## „კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

# „ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲐᲠᲢᲔᲚᲘᲡ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲐᲡ ᲣᲮᲔᲨᲐᲓ ᲐᲠᲦᲕᲔᲕᲔᲜ“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 5 იანვრის ნომერში დაბეჭდილი იყო კორესპონდენცია, რომელშიც მხილებული იყო სოფლების ბაკურციხის, ჭანდრის და ვაზისუბნის კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დამახინჯების ფაქტები.

საქართველოს კ. პ. (ბ) გურჯაანის რაიკომის მდივანი ამხ. ს. ქაჩლიშვილი გვატყობინებს, რომ კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა.

რაიკომის ბიურომ განიხილა ეს საკითხი და სოფელ ბაკურციხის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. შაკიაშვილს კოლმეურნეობაში სამუშაოთა ჩაშლისათვის, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევისათვის გამოუცხადა სასტიკი საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით და რჩევა მისცა კოლმეურნეთა საერთო კრებას მოხსნას იგი კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან. კოლმეურნეობაში პარტიული მუშაობის ჩაშლისა და კოლმეურნეობის გამგეობის მუშაობისადმი სუსტი კონტროლისათვის ამხ. ი. აბრამიშვილი მოიხსნა პარტბიუროს მდივნობიდან და გამოეცხადა სასტიკი საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით.

ამ კოლმეურნეობის ყოფილი ბუხჰალტერი შ. გოძიაშვილი ანგარიშწარმოების არევ-დარევისათვის, 100 კილოგრამი ხორბლის მითვისებისა და კოლმეურნეობიდან მიღებული 8.055 მანეთის დაუბრუნებლობისათვის მიცემულია პასუხისგებაში. რაიკომის ბიურომ რჩევა მისცა კოლმეურნეთა საერთო კრებას სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე გ. ჯამასპიშვილი თავისი მოვალეობის არაკეთილსინდისიერად შესრულებისათვის მოხსნას სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეობიდან.

სოფელ ჭანდრის კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე, ღვინის სავაჭრო წერტის გამგე ი. მანიჯაშვილი მოხსნილია სამუშაოდან. რაიკომის ბიურომ დაავალა სამტრესტის გურჯაანის ღვინის ქარხნის დირექტორს ამხ. შავლიაშვილს სამუშაოდან მოხსნას გ. ნაბიჭვრიშვილი კოლმეურნეობაში ჩადენილი დანაშაულისათვის. რაისაბჭოს აღმასკომის საგზაო განყოფილების გამგეს ამხ. ჩეკურიშვილს დაევალა სამუშაოდან მოხსნას ბუხჰალტერი გ. ქორიოლიშვილი კოლმეურნეობაში მუშაობის დროს ჩადენილი დანაშაულისათვის და მასალები გადასცეს პროკურატურას მისი პასუხისგებაში მისაცემად.

სოფელ ჭანდრის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. მინასოვს და პარტიული ორგანიზაციის მდივანს ამხ. სტეფნაძეს მიეთითათ დამნაშავე პირთა სამუშაოდ გაგზავნისათვის.

სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობას თავმჯდომარეს ამხ. ჯმუხაძეს კოლმეურნეობისადმი სუსტი ხელმძღვანელობისათვის, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა გაუტარებლობისათვის გამოეცხადა სასტიკი საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით. მეცხვარეობის ფერმის გამგე რ. მოვლენიშვილი 33 სული ცხვრის დანაკლისისათვის მიცემულია პასუხისგებაში.

რაიკომის ბიურომ დასახა ღონისძიებანი აღნიშნულ კოლმეურნეობათა მუშაობის გასაუმჯობესებლად.

# კოლმეურნეობის წლიური ანგარიში

სოფელ ძველი სენაკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში საერთო კრებაზე მრავალი კოლმეურნე მოვიდა. ამ კრებაზე მათ უნდა შეეჯამებინათ გასული წლის შედეგები, დაესახათ მიმდინარე წლის ამოცანები.

ეს კოლმეურნეობა ცხაკაიას რაიონში წინათ მოწინავედ არ ითვლებოდა. კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს თავმჯდომარედ აერჩიათ მათი კოლმეურნეობის ბუღალტერი, ამავე სოფლის მკვიდრი ამხ. შ. ნინუა. ახალმა თავმჯდომარემ კოლმეურნეთა იმედები გაამართლა, კოლმეურნეობა მალე დაწინაურდა.

საანგარიშო მოხსენებაში ამხ. ნინუამ აღნიშნა, რომ გასულ წელს 273 ჰექტარზე კოლმეურნეობამ მიიღო 4.055 ცენტნერზე მეტი სიმინდის მოსავალი. ტუნგოს მოსავალი თვითეულ ჰექტარზე შეადგენს 15 ცენტნერს, ყურძნისა — 69,8 ცენტნერს.

კოლმეურნეობამ 1 წლით ადრე — გასული წლის 1 იანვრისათვის შეასრულა მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმა. ფუტკრის ყოველ ოჯახზე მიიღეს 4,52 კილოგრამი თაფლი, თვითეულ დედალორზე კი მიიღეს და შეინარჩუნეს 14 გოჭი.

გადიდდა შრომადღის ღირებულება. კოლმეურნეებს შრომადღეზე ერგოთ 4,26 კილოგრამი მარცვლეული, სხვა პროდუქტები და ფული.

კოლმეურნეობამ ვადაზე შეასრულა ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე, განუყოფელ ფონდში გადარიცხა სათანადო თანხა, რაც მოხმარდება ახალი იარაღ-მანქანების შეძენას, მეცხოველეობის ფერმის კაპიტალური შენობის მშენებლობას, ჯიშიანი ძროხების შესყიდვას და სხვებს.

მუშაობაში იყო სერიოზული ნაკლოვანებებიც. ირღვეოდა აგროტექნიკის წესები, ამასთან გამგეობა არადამაკმაყოფილებლად იბრძოდა ზარმაცების წინააღმდეგ.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ილაპარაკა საკოლმეურნეო სოფლის ადამიანების კულტურის ზრდაზე, კოლმეურნეთა შორის მასობრივი მუშაობის გაშლაზე. კოლმეურნეობაში არის ელექტროქვესადგური. ელექტროფიცირებულია საზოგადოებრივი ნაგებობანი, ფერმის 2 შენობა. 115 კოლმეურნეს გამოწერილი აქვს ჟურნალ-გაზეთები. 24 კოლმეურნე სწავლობს 3-წლიან აგროზოოტექნიკურ კურსებზე. ერთი ქვესადგური კოლმეურნეობას არ ყოფნის. გათვალისწინებულია კიდევ აშენდეს 2 ელექტროქვესადგური და ელექტროფიცირებულ იქნას დამატებით 270 ოჯახი. აშენდება სახერხი ქარხანაც. რაც ძლიერ საჭიროა კოლმეურნეობაში გაჩაღებული მზარდი მშენებლობისათვის.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს საგაზაფხულო თესვისათვის მზადება. ყველა რეზერვის გამოყენებით შეიძლებოდა გაცილებით მეტი გაკეთებულიყო.

წელს კოლმეურნეები აითვისებენ 15 ჰექტარ ყამირს, მინდვრად გაიტანენ 800 ტონა შლამსა და ნაკელს. გაიზრდება სათესი ფართობების რაოდენობა. ამაში მათ დაეხმარება ცხაკაიას მტს-ი.

კამათში გამოსულმა კოლმეურნეებმა გააკრიტიკეს კოლმეურნეობის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მუშაობა. მათ აღნიშნეს, რომ გამგეობამ მთლიანად ვერ გამოიყენა მოსავლიანობის გადიდების ყველა რეზერვი.

საანგარიშო-საარჩევნო კრებამ გაითვალისწინა კოლმეურნეთა წინადადებები და დასახა ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, საზოგადოებრივი მეურნეობის განსავითარებლად.

**ბ. მილიუტინი**
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

# უპასუხისმგებლობა მანქანების მოვლაში

ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების წესიერი მოვლა-შენახვა დიდად ახანგრძლივებს მათი გამოყენების ვადას და იძლევა რემონტზე სახსრების მნიშვნელოვან ეკონომიას. მაგრამ ამ საქმეს კასპის მტს-ში საკმაო ყურადღება არ ექცევა. აქ ტრაქტორები, სათესები, კულტივატორები, კომბაინები ცის ქვეშ ყრია, მათ აწვიმს, ათოვს. მანქანებისათვის ჯერაც არ შემოუცლიათ ტალახი, არ გაუზეთიათ. მტს-ის ეზო შემოუღობავია და მანქანები მინდორში დაუცველად არის მიტოვებული. ამავე ეზოში მოთავსებულია შაქრის ჭარხლის პუნქტი, რომლის ავტომძღოლები სარგებლობენ იმით, რომ მტს-ის მანქანები უპატრონოდ არის მიტოვებული, აცლიან ნაწილებს და თავიანთ ავტომანქანებს უკეთებენ.

კომბაინები და სხვა მანქანები მიღებული არ არის მტს-ის მექანიკოსის მიერ. მეშვიდე სატრაქტორო ბრიგადამ (ბრიგადირი გ. ზალოშვილი) სამი სათესი მანქანა სოფელ კოდისწყაროში დატოვა. მესამე ბრიგადის (ბრიგადირი ვ. ფარქოსაძე) სათესები და გუთნები სოფელ აღაიანში მინდვრად არის დატოვებული და მოსავლელად არავისთვის არ ჩაუბარებიათ.

მანქანების მოვლის მხრივ უკეთესი მდგომარეობა არც თეძამის მტს-შია. ბევრი მანქანა გარეთ ყრია.

ტრაქტორების, კომბაინების, კულტივატორების წესიერ შენახვას ნაკლები ყურადღება ექცევა აგრეთვე გორის რაიონის მტს-ებში. გორის მტს-მა ვერ მოახერხა ყველა მანქანის ჩამოტანა სოფლებიდან. მტს-ში მიტანილი მანქანებიც არ არის წესიერად მოვლილი და შენახული. მეტი წილი მანქანები ფარდულს გარეთ არის და ზიანდება. ზოგიერთი მანქანა კვლავ ტალახშია ამოსვრილი. ამ მტს-ის ერთი კომბაინი სოფელ ახალხიზაში დარჩა „საზამთროდ“.

მანქანები საზამთროდ შესანახავად წესრიგზე არ არის მოყვანილი აგრეთვე ახალსოფლის, ტყვიავისა და შინდისის მტს-ებში.

მტს-ების სასოფლო-სამეურნეო მანქანები სახელმწიფოს საკუთრებაა და მათ უნდა გავუფრთხილდეთ. პარტიის კასპისა და გორის რაიონული კომიტეტები და რაისაბჭოს აღმასკომები ვალდებული არიან უზრუნველყონ მანქანების საუკეთესოდ მოვლა და დაცვა.

**შ. ჩუბინიძე**
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

# საშეფო საწარმოები სუსტად ეხმარებიან მტს-ებს

საგარეჯოს რაიონის მტს-ებში ტრაქტორების საშემოდგომო-საზამთრო რემონტის გეგმა 90-ზე მეტი პროცენტით არის შესრულებული. მექანიზატორებმა შესამჩნევად გააძლიერეს რემონტის ტემპი, მათ ვალდებულება იკისრეს ვადამდე—20-25 თებერვლისათვის მთლიანად დაამთავრონ ტრაქტორებისა და სხვა მანქანების რემონტი. ეს ვალდებულება შეიძლებოდა ბევრად ადრე შესრულებულიყო, შეფი საწარმოები მტს-ებს სათანადო დახმარებას რომ უწევდნენ.

საგარეჯოს მტს-ის შეფობა ნაკისრი აქვს თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების ქარხანას. ქარხნის დირექტორს ამხ. ივანიშვილს მტს-ში ჩამოსვლისას საგარეჯოელმა მექანიზატორებმა გააცნეს თავიანთი მუშაობის პირობები და შესაძლებლობანი, სთხოვეს, რომ ქარხანას მტს-ისათვის დაემზადებინა ისეთი დეტალები, რომელთა გაკეთებასაც ადგილზე ვერ ახერხებენ. ქარხნის დირექტორი მტს-ის მუშაკებს შეჰპირდა, რომ მათ დეტალებითა და ხელსაწყოებით უზრუნველყოფდა, მაგრამ როცა საქმე მათ დამზადებაზე მიდგა, მაშინ ქარხნის ხელმძღვანელებმა სხვადასხვა „ხელისშემშლელი პირობები“ მოიმიზეზეს და დანაპირები აღარ შეასრულეს.

სართიჭალისა და იორის მტს-ების შეფმა — ავჭალის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანამ მექანიზატორთა ყველა შეკვეთა მართალია დროზე შეასრულა, მაგრამ ზოგიერთი ნაწილი მეტისმეტად მაღალ ფასებში მისცა. მაგალითად, ტრაქტორ „ნატის“ უკანა ღერძის („დეტალი A 30-16) დამზადებაში ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანამ მტს-ებს 480 მანეთით მეტი გადაახდევინა.

მტს-ებისადმი დახმარების ასეთი პრაქტიკა მიუღებელი და დასაგმობია.

**გ. გელაშვილი**
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

# ბინები პირუტყვისათვის

**ვანი.** (საკ. კორ.). კოლმეურნეობებში სერიოზულ ყურადღებას აქცევენ მეცხოველეობის ფერმებისათვის ბინების მშენებლობას. სოფელ შუამთის ლენინის სახელობის გამსხვილებულ კოლმეურნეობაში გასულ წელს მეძროხეობის ფერმისათვის კაპიტალური შენობა ააგეს, ხოლო 250 ფრთა ფრინველისათვის — საფრინველე.

მესაქონლეობისა და მეფრინველეობის ფერმებისათვის ახალი ბინები ააგეს აგრეთვე სოფელ სალხინოს მალენკოვის, გორას ბულგანინის, ქვედა ბზვანის კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობებმა.

# მექანიზატორთა კურსები

**ახალციხე.** (საკ. კორ.). მუშაობას შეუდგა მტს-ის მექანიზატორთა გადასამზადებელი კურსები, სადაც მეცადინეობს 31 ტრაქტორისტი, სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი და აღმრიცხველი.

ლექციებს კითხულობენ მტს-ის დირექტორი ი. ქავთარაძე, მთავარი ინჟინერი კ. კერესელიძე, მთავარი აგრონომი ვ. დიასამიძე, მექანიკოსი პ. ქათამაძე და სხვ.

კურსებზე სწავლის ვადა 3 თვეა.

საბჭოთა მშენებლობა

# სასოფლო საბჭოს დეპუტატთა ინიციატივა

იზრდება და მშვენდება ცაგერის რაიონის სოფელი ორხვი. განსაკუთრებით ბევრი რამ კეთდება უკანასკნელ წლებში. ამაღლდა კოლმეურნეთა შეძლებულობის დონე. ორხველმა კოლმეურნეებმა ახალი, ლამაზი სახლები აიშენეს. კოლმეურნეობის ახლად აშენებული და კეთილმოწყობილი კანტორა, კლუბი, მეცხოველეობის ფერმები, სკოლის ახალი შენობა, საწყობების კაპიტალური შენობები, ბიბლიოთეკა, აგურ-კრამიტის ქარხანა, ახლად გამოყვანილი წყაროები ამშვენებენ ამ სოფელს. სოფელი ელექტროფიცირებული და რადიოფიცირებულია.

ორხველმა კოლმეურნეებმა საგზაო მშენებლობაც არ დაივიწყეს. ბევრი შრომა მოანდომეს იმას, რომ სოფელში საავტომობილო გზა მიეყვანათ.

კოლმეურნეობის კეთილმოწყობას სათავეში უდგანან სასოფლო საბჭოს დეპუტატები. დეპუტატთა ინიციატივით ორხვში მოეწყო რადიოკვანძი. ორხველები წინათ ხე-ტყის დასახერხად 20-30 კილომეტრის მანძილზე მიდიოდნენ. ახლა საკუთარი სახერხი ქარხანა აქვთ, რომელიც ელექტროენერგიით მუშაობს. კეთილმოწყობილ იქნა საუბნო გზები.

ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შემდეგ სასოფლო საბჭოს ახალმა შემადგენლობამ ბევრი რამ გააკეთა სოფლის კეთილმოწყობისათვის. 1952 წლის მე-2 კვარტალში სოფელს ექნება აგურ-კრამიტის მექანიზებული ქარხანა, რომელიც არა მარტო ამ სოფელს უზრუნველყოფს საშენი მასალით, არამედ მეზობელ სოფლებსაც გაუწევს მომსახურებას. ქარხნის მშენებლობის ინიციატორია სასოფლო საბჭოს დეპუტატი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ალ. ქვარიანი. მისი ინიციატივით სოფელში აშენდა აგრეთვე საკოლმეურნეო კლუბის, ბიბლიოთეკისა და კანტორის ახალი შენობები. ამ საქმეში კოლმეურნე მშენებლებმა აქტიური შრომითი მონაწილეობა მიიღეს.

სოფელში საფერშლო-საბებიო პუნქტისა და მაღაზიის შენობის აგების საკითხი წამოაყენეს ნ. ახვლედიანმა და გ. ასათიანმა. დეპუტატთა წინადადებას მხარი დაუჭირეს კოლმეურნეებმა. მოკლე ხნის განმავლობაში აშენდა საფერშლო-საბებიო პუნქტისა და მაღაზიის ახალი შენობა.

ერთ საღამოს კოლმეურნეობა „განთიადის“ კლუბში თავი მოეყარათ ორხველ კოლმეურნეებს და სხვადასხვა საკითხზე მსჯელობდნენ.

—ჩვენი კოლმეურნეობისა და კოლმეურნეთა მოთხოვნებს მეზობელი კოლმეურნეობის ელექტროსადგურიდან მიღებული ენერგია ვერ დააკმაყოფილებს, — ჩამოაგდო საუბარი მევენახეობის რგოლის ხელმძღვანელმა, სოციალისტური შრომის გმირმა თეოფანე ქვარიანმა.

— მართლაც ვერ დააკმაყოფილებს, —დაუდასტურეს სხვა კოლმეურნეებმა.

საუბარში ჩაერია კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ალ. ქვარიანი. ამ საკითხზე დიდი ხანია ვფიქრობ, მაგრამ ჯერ ვერაფერი გადამიწყვეტია, მეტად რთული საქმეა, ბევრ შრომას მოითხოვს, თანაც ადგილზე საკმაო მასალა არ მოგვეპოვებაო.

—მოწადინება მითხარი, თორემ ყველაფერი გაკეთდება. ჩვენი კოლმეურნეობის მუშახელი მეტ საქმესაც გააკეთებს, თუ საჭირო იქნება,—თქვა საბჭოს დეპუტატმა ზ. გაბიძაშვილმა.

სასოფლო საბჭოს დეპუტატთა ინიციატივით მიღებულია გადაწყვეტილება — სოფელ ორხვში აშენდეს საკუთარი ელექტროსადგური.

**ბ. მეტრეველი**
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

# მეტი ყურადღება საბურთალოს ქუჩების კეთილმოწყობას

საბურთალო თბილისის ერთ-ერთი კეთილმოწყობილი უბანი ხდება. უკანასკნელი წლების მანძილზე აქ აიგო მრავალსართულიანი კაპიტალური შენობები, კარგად მოეწყო ბევრი ქუჩა, შესრულდა დიდძალი მიწისქვეშა სამუშაოები და სხვ. მაგრამ საბურთალოს ცენტრალურ რაიონებშიც კი დღემდე შეხვდებით სრულიად უყურადღებოდ მიტოვებულ ქუჩებს.

მცხოვრებთა გაკვირვებას იწვევს ის, რომ ისეთი ცენტრალური ქუჩები, როგორიც არის საბურთალოს, წითელ პარტიზანთა და კომბაინერთა ქუჩები, დღემდე სრულიად მოუწყობელია. ამ ქუჩებზე წლობით ჭიანურდება წყალსადენისა და კანალიზაციის მილების ჩაწყობა, ღვარსაშვები კოლექტორის მოწყობა, რის გამო გაუვალი გუბეები და ტლაპო დგება.

„თბილისმშენმა“ კომბაინერთა ქუჩაზე ღვარსაშვები კოლექტორის მშენებლობა რამდენიმე წლის წინათ დაიწყო. ოთხ მეტრ სიღრმეზე უნდა გათხრილიყო 1.600 გრძივი მეტრი მიწა. ეს სამუშაო დღემდე შესრულებულია მხოლოდ 270 გრძივ მეტრზე. იმის გამო, რომ „თბილქალაქპროექტმა“ აღნიშნული სამუშაო დღემდე ვერ უზრუნველყო სათანადო პროექტით, მუშაობა კვლავ ფერხდება. ამაში ბრალი მიუძღვის ტრესტ „თბილისმშენსაც“.

დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა საბურთალოს და წითელ პარტიზანთა ქუჩებზე. აქ წლების მანძილზე გაჭიანურდა წყალსადენის მილების ჩაწყობა. როცა ეს სამუშაოები როგორც იქნა დამთავრდა, „თბილისმშენი“ შეუდგა კანალიზაციის გაყვანას. მაგრამ გადის წლები, მუშაობა კი ადგილიდან არ იძვრის. როგორც ირკვევა, აქაც „თბილქალაქპროექტისა“ და „თბილისმშენის“ მოუქნელ მუშაობასთან გვაქვს საქმე. კანალიზაციის ორმოს გათხრის დროს თავი იჩინა პროექტითა და ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელმა მთელმა რიგმა სამუშაოებმა. პროექტის დაზუსტება და ხარჯთაღრიცხვის გადაანგარიშება კი შეუწყნარებლად გაჭიანურდა. სამუშაოების ოპერატიულად წარმართვის საქმეში ვერც თბილისის კანალიზაციის ტრესტი აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა სასწრაფოდ უნდა მიიღოს ზომები ზემოხსენებულ სამუშაოთა მალე დამთავრებისათვის.

**გ. მანჯგალაძე**

ჩვენ გვწერენ

# რატომ არ შეუწყვეს ხელი გამოგონებას

სუბტროპიკულ მცენარეთა მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე მნიშვნელოვან საშუალებად ითვლება ფუმიგაცია (შეხრჩოლვა) ციანგაზით (ციანწყალბადით). ეს მეთოდი წარმოადგენს კარგ ღონისძიებას ციტრუსნების, ჩაისა და სხვა სუბტროპიკულ კულტურებზე ცრუფარიანასა და ფარიანათა კერების ლიკვიდაციისათვის.

ჯერ კიდევ 1948 წელს ოჩამჩირის რაიონის მოქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის აგრონომმა ენტომოლოგმა ამხ. გრიგოლ სახელაშვილმა გამოიგონა აპარატურა, რომლის გამოყენებით უმჯობესდება ციანგაზით შეხრჩოლვის პროცესი. ამ აპარატის გამოყენებით ფუმიგაციის დროს მნიშვნელოვნად იზრდება შრომის ნაყოფიერება, ამასთან მუშაობის დროს საჭირო არ არის აირწინაღი, უმჯობესდება ქიმიკატების დოზირება ბუჩქებში.

ამ აპარატურას კარგი შეფასება მისცა სპეციალისტთა მრავალმა კომისიამ, დაიწერა ბევრი აქტი აპარატურის უპირატესობისა და წარმოებაში მისი აუცილებლად დანერგვის შესახებ. ერთ-ერთ აქტში, რომელსაც კვალიფიციური სპეციალისტები აწერენ ხელს, წერია: „ამხ. სახელაშვილის კონსტრუქციის აპარატის უპირატესობა პრაქტიკულად არის დამტკიცებული. ჩვენ საჭიროდ ვთვლით მის ფართოდ დანერგვას სუბტროპიკული რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფუმიგაციის ჩასატარებლად“.

მიუხედავად ამისა, სახელაშვილის წინადადება მაინც განუხორციელებელი დარჩა.

მრავალი სპეციალისტის დასკვნის წინააღმდეგ გაილაშქრა და გამოგონება უარყო საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის აგრონომმა ლ. ჩერნოვამ. მან დაწერა აქტი, რომლის მიხედვით შეუძლებლად ჩათვალა ამ აპარატის გამოყენება.

აგრონომ ჩერნოვას დასკვნის დაწერიდან რამდენიმე დღის შემდეგ მეურნეობაში მოვიდა საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველის ამხ. მ. ღვინჯილიას ბრძანება ამხ. სახელაშვილის აგრონომ-ენტომოლოგის თანამდებობიდან განთავისუფლებისა და მისი აგროტექნიკოსად გამოყენების შესახებ.

ნუთუ ასე უნდა მოეპყრან გამომგონებელს, ნოვატორ-სპეციალისტს?

**მ. ჭოჭუა**

# დავაკმაყოფილოთ მომხმარებელთა მოთხოვნილება

წითელწყაროს რაიონის მაღაზიები და სავაჭრო წერტები საკმაოდ მარაგდება ქალისა და მამაკაცის ფეხსაცმლით, მაგრამ, სამწუხაროდ, აქ ვერ ნახავთ სასკოლო ასაკის ბავშვების № 34, 35, 36, 37 ფეხსაცმელს, რომლის მოთხოვნილება რაიონში დიდია.

ეს მდგომარეობა უნდა გაითვალისწინონ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ და ცეკავშირის გამგეობამ და აღნიშნულ ნომერი ფეხსაცმელებითაც უნდა უზრუნველყონ სოფლის მაღაზიები.

**ა. ავალიანი**

# ფართოდ დავნერგოთ მეცნიერების მიღწევები და მოწინავეთა გამოცდილება

საბჭოთა აგრობიოლოგიური მეცნიერების მიღწევათა, უხვი მოსავლის ოსტატთა შესანიშნავი გამოცდილების დანერგვა ყველა კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობასა და მტს-ში დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. უკანასკნელ წლებში საბჭოთა მეცნიერების მიერ შემუშავებულია ნიადაგის დამუშავება-განოყიერების, ჩაის, ციტრუსების და სხვა კულტურების უხვი მოსავლის მოყვანის ახალი პროგრესული მეთოდები და ხერხები. სერიოზული სასელექციო მუშაობის შედეგად გამოყვანილია ჩაის, მანდარინის, ხურმის, ვაშლის ახალი ჯიშები.

მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვის მიზნით საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდის სამმართველო მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 1952 წლის საწარმოო გეგმები ითვალისწინებენ მოწინავეთა გამოცდილების დანერგვის მთელ რიგ ღონისძიებებს.

მეცნიერების უახლესი მიღწევები მეტად თვალსაჩინოა. ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის და საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მიერ მრავალი წლის მანძილზე ცდებით დამტკიცებულია, რომ ჩაის პლანტაციაში მწკრივთა შორის ნიადაგის ტორფით დაფარვა (დამულჩვა) 10 სანტიმეტრის სისქეზე განსაკუთრებით გვალვიან წლებში 20-30 პროცენტით ზრდის ჩაის ხარისხოვანი ფოთლის მოსავლიანობას. მაგალითად, წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ამ მეთოდის განხორციელებით ჩაის მოსავალი მნიშვნელოვნად გაიზარდა. აქ ტორფით დამულჩულ თვითეულ ჰექტარზე მიიღეს 400-520 კილოგრამით მეტი ჩაის ფოთოლი, ვიდრე დაუმულჩავ პლანტაციებში. 1950-1951 წლებში ასევე საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს ლაითურისა და ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობებში.

საწარმოო ცდის სახით ტორფით ჩაის პლანტაციების დამულჩვა წელს მოეწყობა 100 ჰექტარ ფართობზე, ხოლო შემდეგ წლებში რამდენიმე ათასეულ ჰექტარზე. ანასეულის ინსტიტუტის ხანგრძლივი ცდებით დამტკიცებულია, რომ ნორმალურად განვითარებულ და კარგად მოვლილ ჩაის პლანტაციაში საჭირო არ არის ნიადაგის ყოველწლიური საზამთრო ღრმა გადაბარვა. მაგალითად, ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში გადაუბარავი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღეს 300-400 კილოგრამით მეტი ჩაი, ვიდრე გადაბარულზე. ამით ფოთლის მოსავლის გადიდებასთან ერთად მცირდება ხარჯებიც. ფართო საწარმოო ცდის სახით ჩაის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში წელს გადაუბარავად დატოვებულ იქნება 2.870 ჰექტარი კარგად მოვლილი, მძლავრი პლანტაცია.

მოწინავე ადამიანებს სერიოზული წვლილი შეაქვთ ჩვენი სუბტროპიკული მეურნეობის განვითარების საქმეში. სოფლის მეურნეობის ნოვატორმა შოთა გოგუაძემ ციტრუსების მყნობის ტექნიკის გაუმჯობესებასთან ერთად შეიმუშავა ახლადდამყნილ მცენარეთა მოვლისა და ნამყენის გახარების მეთოდიც. შ. გოგუაძე აღწევს ნამყენის 98-99 პროცენტის გახარებას. ეს მეთოდი მდგომარეობს შემდეგში: შ. გოგუაძე ტრიფოლიატის საძირეს დამყნობის ადგილის ზევით 10 სანტიმეტრის სიმაღლეზე აყრის სუფთა, მშრალ მიწას და ასე ტოვებს მას 12-15 დღის განმავლობაში. ეს ხელს უწყობს ნამყენის კარგად შეხორცებას, იცავს კვირტს მზისა და ქარის მავნე მოქმედებისაგან. შემდეგ მცენარეს ფრთხილად აშორებს მიწას ხელით ან ბარით, რომ ნამყენი არ დაზიანდეს. წელს გოგუაძის მეთოდით ფართო საწარმოო ცდის სახით მიწის შემოყრა მოეწყობა 1.320 ათას ძირ ნამყენზე.

სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების ცდებით დადგენილია, რომ ციტრუსოვანთა პლანტაციებში წითელმიწა და ეწერი ნიადაგების გაკირიანება, ახალგაზრდა ნარგავებში მრავალწლიანი ბალახების თესვა მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ნიადაგის თვისებებს, ამაღლებს მის ნაყოფიერებას და ციტრუსების მოსავლიანობას, ამასთან ბალახების თესვით კოლმეურნეობები მიიღებენ დამატებით საკვებს. წელს ნიადაგის გაკირიანება მოეწყობა 1.500 ჰექტარზე, ხოლო ბალახების თესვა 4 წლამდე ხნოვანების პლანტაციებში — 2.700 ჰექტარზე.

პირველ პლანზეა დაყენებული თამბაქოს ახალი ჯიშის სამსუნი № 940-ის გავრცელების საკითხი. იგი რამდენიმე წლის წინათ გამოიყვანა აფხაზეთის მეთამბაქოობის საცდელი სადგურის მეცნიერ მუშაკთა კოლექტივმა. ეს ჯიში კარგად უძლებს სიცივეს და გვალვას, ხარობს სილნარ ნიადაგებზე, მაღალმოსავლიანია, ავადმყოფობის (სიდამპლის) კარგი გამძლეა. გუდაუთის რაიონის ბევრ კოლმეურნეობაში შარშან ამ ჯიშის პლანტაციებიდან დიდი მოსავალი მიიღეს. მისი ნედლეული მაღალხარისხოვანი და არომატულია.

სამსუნი № 940 გასულ წელს მხოლოდ რამდენიმე ჰექტარზე იყო გაშენებული, წელს კი დაირგვება 2.100 ჰექტარზე.

სოფლის მეურნეობის ოსტატებისა და მეცნიერ მუშაკთა მიერ დადგენილია, რომ ურწყავ ვენახებში მინერალური სასუქების ღრმად, 35 სანტიმეტრზე შეტანით ნიადაგში ვაღწევთ ვაზის უკეთეს ზრდა-განვითარებას, მცენარე უფრო კარგად ითვისებს სასუქებს, ვიდრე ზედაპირულად შეტანის დროს, და ყურძნის მოსავალი მატულობს. ამ წესით თბილისის ოლქის კოლმეურნეობებში წელს მინერალურ სასუქებს 3.000 ჰექტარზე შეიტანენ.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ვაზის ოპტიმალური დატვირთვის მეთოდს, რომელიც დადგენილია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქარის მევენახეობის საცდელი სადგურისა და თელავის მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა ჯგუფის მიერ. ამ წესით ვაზის გასხვლის დროს ლერწზე ტოვებენ 40-მდე სანაყოფე კვირტს, ე. ი. 3-4-ჯერ მეტს, ვიდრე ვაზის ჩვეულებრივი წესით გასხვლის დროს. მაღალ აგროტექნიკურ ფონზე გასხვლის ეს გაუმჯობესებული ღონისძიება ყურძნის მოსავალს ადიდებს 40-50 პროცენტით. ვაზის სხვლის ზემოაღნიშნული წესი ფართოდ ინერგება. 1952 წელს ახალი მეთოდით გაისხვლება 12.600 ჰექტარი ვაზი.

ყურძნის მოსავალს ადიდებს და შრომის დანახარჯებს მნიშვნელოვნად ამცირებს ლერწის აკვრა ორმაგ მავთულზე. ეს მეთოდი შემუშავებულია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მუშაკების მიერ. ორმაგ მავთულზე ლერწის დაყენება წელს 300 ჰექტარზე მოეწყობა. დიდი ყურადღება მიექცევა სადედე ვაზის ჰორიზონტალურ შპალერზე ფორმირებისა და სანამყენე მასალისა და ნერგების ღია ფარდულებში შენახვის წესებს.

სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდის გეგმა ითვალისწინებს აღმოსავლური ხურმის „ჩინებულის“ და მანდარინის „კოვანა-ვასეს“ ჯიშების ნერგების დიდი რაოდენობით გამოყვანას, შემდგომში სამრეწველო პლანტაციების გაშენებას. რამდენიმე წლის წინათ ტენიან სუბტროპიკულ კულტურათა სუხუმის საკავშირო სასელექციო სადგურის მიერ გამოვლინებულია ხურმა — „ჩინებულის“ ჯიში. „ჩინებულის“ ნაყოფი მსხვილი, ტკბილი და არომატულია. შეიცავს 18 პროცენტ შაქარს, მწიფდება ნოემბერში, მეტ ხანს ინახება და კარგად იტანს ტრანსპორტს, არ საჭიროებს დამტვერვას. ამ თვისებების გამო „ჩინებული“ გაცილებით უკეთესია, ვიდრე დღემდე არსებული ხურმის სხვა ჯიშები. უახლოეს წლებში „ჩინებულის“ პლანტაციების დიდ ფართობზე გაშენების მიზნით წელს ნოსირის სანერგეში გამოყვანილ იქნება 50 ათასი ძირი ნერგი.

ყურადღებას იპყრობს მანდარინის საუკეთესო ჯიში კოვანა-ვასე. ამ ჯიშის მცენარე თავისი მორფოლოგიური ნიშნებით ჩვეულებრივ მანდარინს (უნშიუს) მოგვაგონებს, მაგრამ მისი ნაყოფი უფრო მსხვილია და მწიფდება 20-25 დღით ადრე, ვიდრე უნშიუ. მეციტრუსეობაში ამას დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. კოვანა-ვასე ყინვაგამძლეა. 1949-50 წლის მკაცრ ზამთარში აფხაზეთსა და აჭარაში ამ ჯიშის ბევრმა ხემ მცირე დაზიანებით გადაიტანა ყინვები, ურეკისა და ციხისძირის სახელმწიფო სანერგეებში წელს დამყნილ იქნება კოვანა-ვასეს 100 ათასი კვირტი, ხოლო 1953 წლისათვის 40 ჰექტარზე გაშენდება კოვანა-ვასეს ახალი პლანტაცია.

მეაბრეშუმეობის რაიონებში წელს ფართოდ გავრცელდება აბრეშუმქსოვის ახალი ჰიბრიდები № 1 და № 2, რომლებიც დიდ მოსავალს და მაღალხარისხოვან პარკს იძლევიან. მოწინავე მეაბრეშუმეებს დაურიგდებათ ამ ჰიბრიდების 1.500 კოლოფი თესლი.

წელს პირველად 500 ჰექტარზე მოეწყობა ჭარხლის ნათესების უფესვებოდ, ანუ ფოთლით გამოკვება სუპერფოსფატისა და ქლორიანი კალიუმის ხსნარით. ჭარხლის უფესვებოდ გამოკვება იძლევა ნედლეულის მოსავლის მნიშვნელოვან გადიდებას. წელს ჭარხლის მოსავალი ყველა რაიონში აღებული იქნება სპეციალური კომბაინებით.

დადგენილია, რომ საქართველოს მაღალმთიან რაიონებში კარგად ხარობს და უხვ მოსავალს იძლევა ყინვაგამძლე მიჩურინული ვაშლისა და მსხლის ჯიშები (ხომანდური, ეპტო შაფრანი და სხვ.). ამ ჯიშების 5.000 ნერგი დაირგვება ზემო სვანეთის, ყაზბეგის, თიანეთის, წალკის, ახალქალაქისა და დმანისის რაიონებში.

გორის რაიონში დიდ ფართობზე გაშენდება ატმის ახალი ჯიში „ბესტავაშვილი“. ამ ჯიშის ატამი საკონსერვო წარმოებისათვის უკეთესია, ვიდრე დღემდე არსებული სხვა ჯიშების ატამი. 1500 ჰექტარზე სარწყავ რაიონებში მოეწყობა ხეხილის მწკრივთა შორის მრავალწლიანი ბალახებისა და სიდერატების თესვა. ყურადღების ღირსია აგრონომ ვ. ფანჩულიძის წინადადება სათბურებში გერანის კალმების წყვილად დარგვის შესახებ. ამ წესით დაკალმებისას ერთიორად დიდდება გერანის სტანდარტული ნერგების გამოსავლიანობა და მნიშვნელოვნად მცირდება ხარჯები სათბურების მშენებლობაზე.

აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებში, აგრეთვე ცხაკაიას და აბაშის რაიონებში აგრონომ ფანჩულიძის მეთოდით გამოყვანილ იქნება გერანის 14 მილიონი ძირი სტანდარტული ნერგი.

ხეხილის, ვენახისა და სხვა კულტურების სანერგეებს დიდ ზიანს აყენებენ ამიერკავკასიის მარმარილოს ხოჭო, ხვატარი და მავთულა ჭიები. ამ მავნებლებს სპობს ახალი პრეპარატი — ჰექსაქლორანის დუსტი. ეს პრეპარატი ფართოდ უნდა გამოვიყენოთ ხეხილისა და ციტრუსების ყველა სანერგეში.

სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისა და სოფლის მშრომელთა წინაშე სერიოზული ამოცანებია დასახული აგრობიოლოგიური მეცნიერების თანამედროვე მიღწევებისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორთა მუშაობის მეთოდების გავრცელების საქმეში. სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაკებმა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების დახმარებით ეს ამოცანები წარმატებით უნდა გადაჭრან.

**გ. გოლეთიანი**
საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდის სამმართველოს უფროსის მოადგილე

**დ. ფაილოძე**
საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო პროპაგანდის სამმართველოს ზეპირი, ბეჭდვითი და თვალსაჩინო პროპაგანდის სექტორის უფროსი

# საერთაშორისო მიმოხილვა

## მშვიდობის ბანაკის შესანიშნავი წარმატებანი

უკანასკნელი დღეების უდიდესი საერთაშორისო მოვლენა იყო ცნობა საბჭოთა სოციალისტური ეკონომიკის ახალ წარმატებათა შესახებ. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სტატისტიკური სამმართველოს ცნობა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1951 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ საერთაშორისო დემოკრატიულ პრესას სამართლიანად მიაჩნია მშვიდობისა და დემოკრატიის მთელი ბანაკის გამარჯვებად.

ეს ცნობა, წერს რუმინეთის გაზეთი „სკინტეია", „მთელ მსოფლიოში გაისმა როგორც მშვიდობის მძლავრი ხმა, რომელიც მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის მართალი საქმის საბოლოო გამარჯვების რწმენას უნერგავს გულში მილიონობით ადამიანს". „საბჭოთა ხალხის ძალების ზრდა ნიშნავს ყოველი თავისუფლებისმოყვარე ხალხის ძალების, მათ შორის ჩვენი ხალხის ძალების ზრდას",—აღნიშნავს უნგრეთის გაზეთი „ნეპსავა". პოლონეთის გაზეთი „ტრიბუნა ლიუდუ", ავითარებს რა იმავე აზრს, ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რა მსოფლიო მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის ძალისა და ძლიერების შემდგომ განმტკიცებას, სსრ კავშირისა, რომელიც მშვიდობისათვის მსოფლიო მოძრაობის ბასტიონს წარმოადგენს".

საბჭოთა ხალხის 1951 წლის მშვიდობიანი შრომის შედეგები ერთხელ კიდევ უდავოდ მოწმობენ, აღნიშნავს საფრანგეთის კომპარტიის ორგანო „ლუმანიტე", „საბჭოთა სისტემის უპირატესობას კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით". მართლაც, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობის თვითეული ციფრი მოწმობს განვითარების ისეთ ტემპს, საბჭოთა კავშირის მშრომელთა კეთილდღეობის ისეთ გაუმჯობესებას, რაც წარმოუდგენელია კაპიტალისტურ ქვეყნებში. ერთი წლის მანძილზე საბჭოთა კავშირის — მსოფლიოს უდიდესი ინდუსტრიული სახელმწიფოს მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია გადიდდა 16 პროცენტით, ესე იგი თითქმის ერთი მეექვსედით. ამავე დროს მეტად გადიდდა მძიმე მრეწველობის ნაწარმისა და ფართო მოხმარების საქონლის, აგრეთვე ხორცის, ერბო-კარაქისა და შაქრის და სხვა პროდუქტების წარმოება. მოსახლეობამ იყიდა 15 პროცენტით მეტი საქონელი, ვიდრე 1950 წელს. დიდი წარმატებით ხორციელდებოდა 1951 წელს გრანდიოზული სამუშაოები ვოლგის, დონის, დნეპრისა და ამუ-დარიის დიად სტალინურ მშენებლობებზე, სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა საბინაო მშენებლობა. სსრ კავშირის მშრომელთა შემოსავალი წინა წელთან შედარებით 10 პროცენტით გადიდდა. სსრ კავშირში კვლავ გაიზარდა სკოლებისა და ბიბლიოთეკების, თეატრებისა და კინოების, სამკურნალო და სანიტარულ დაწესებულებათა რიცხვი.

გასულ წელს შესანიშნავი წარმატებანი მოიპოვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ.

ემყარებიან რა საბჭოთა ხალხის მძლავრ მხარდაჭერას, სულ უფრო ფართოდ იყენებენ რა სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის გამოცდილებას, სახალხო-დემოკრატიულმა სახელმწიფოებმაც გასულ წელს ახალი დიდი წარმატებანი მოიპოვეს. უნგრეთში მრეწველობამ 103.4 პროცენტით შეასრულა 1951 წლის გადიდებული გეგმა და გამოუშვა 30.1 პროცენტით მეტი პროდუქცია, ვიდრე 1950 წელს. ბულგარეთში მრეწველობის საერთო პროდუქცია წლის მანძილზე 19 პროცენტით გადიდდა. რუმინეთში, სადაც 1951 წელი ხუთწლედის პირველი წელი იყო, სამრეწველო წარმოების ზრდამ 28.7 პროცენტი შეადგინა. პოლონეთის სამრეწველო პროდუქცია ღირებულებითი გამოხატულებით 1951 წელს 24.4 პროცენტით გადიდდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანაში განვითარების ეს მაღალი ტემპი უახლოეს მომავალშიც დარჩება. 1951 წლის გეგმა—ხუთწლედის პირველი წლის გეგმა — წარმატებით შეასრულა გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ.

ჩვენს ქვეყანასა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის განუხრელი მძლავრი აღმავლობაა, მაშინ, როცა მსოფლიოს ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში ძლიერდება მშრომელი მასების სიღატაკე, ქვეითდება მოსახლეობის ცხოვრების დონე. ასეთია გამალებული შეიარაღების და ახალი აგრესიული ომის მომზადების იმ პოლიტიკის გარდუვალი შედეგი, რასაც ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების მმართველი წრეები ახორციელებენ. ამერიკის საქმიანი და ფინანსური წრეების ორგანო, გაზეთი „ჯორნელ ოფ კომერს", იძულებული იყო ეღიარებინა, რომ: „ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის სულ ცოტა ერთმა მეოთხედმა ან, შესაძლოა, ერთმა მესამედმაც დაკარგა მყიდველობითი უნარი მას შემდეგ, რაც დაიწყო ომი კორეაში". გაზეთის ეს ნათქვამი ადასტურებს იმ უდავო ფაქტს, რომ კორეელი ხალხის წინააღმდეგ ამერიკელი მილიტარისტების აგრესიული ომი ამდიდრებს ერთ მუჭა მილიონერებსა და მილიარდერებს და შიმშილი, სიღატაკე, უმუშევრობა მოაქვს ამერიკის შეერთებული შტატების მშრომელთათვის. ასეთია კაპიტალისტური სინამდვილის უბადრუკი სურათი, რომლის ფონზეც განსაკუთრებით ჩანს სსრ კავშირის ხალხთა შესანიშნავი წარმატებანი.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის 1951 წლის წარმატებანი, სახალხო-დემოკრატიის ქვეყნების წარმატებანი მშვიდობისა და დემოკრატიის იმ ბანაკის ახალი დიდი გამარჯვებაა, რომელიც დღითიდღე მტკიცდება, ეს ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის სტალინური პოლიტიკის გამარჯვებაა.

### კინკლაობა „ატლანტიკის" შეთქმულთა ბანაკში

რაც უფრო ახლოვდება ვადა, რომელიც შეერთებულმა შტატებმა ულტიმატურად დაუნიშნეს თავიანთ დასავლეთევროპელ მოკავშირეებს, ვადა, რომელშიც ამ მოკავშირეებმა უნდა აღმოფხვრან თავიანთი უთანხმოება სამხედრო და ფინანსურ საკითხებში, მით უფრო ფართოვდება და ღრმავდება ეს უთანხმოება. როგორც ცნობილია, 1951 წლის ნოემბრის დამლევს, ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის რომის სესიაზე გამოირკვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, ინგლისი და ბენილუქსის ქვეყნები (ბელგია, ჰოლანდია და ლუქსემბურგი) სხვადასხვანაირად უყურებენ ეგრეთწოდებული „ევროპის არმიის" შექმნის პროექტს. ცნობილია, რომ ამ პროექტით უნდა შეინიღბოს გერმანიის „ვერმახტის", ე. ი. დასავლეთ გერმანიის არმიის აღორძინება, არმიისა, რომელსაც სათავეში ეყოლება ჰიტლერელი გენერლები და რომელიც უნდა შევიდეს გენერალ ეიზენჰაუერის სარდლობაში. ამით გერმანიის 12 დივიზია თითქოს აღარ იქნება „გერმანული", რადგან მათთან ერთად, უბადრუკებული „პლევენის გეგმით", „ევროპის არმიაში" იქნება საფრანგეთის 14, იტალიის 12 და ბელგია-ჰოლანდიის 5-6 დივიზიები. ყოველივე ეს მოგონილია იმისათვის, რომ მოატყუონ ფრანგი და ევროპის სხვა ხალხები, რომლებიც აღშფოთებული არიან გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებით.

მშვიდობის მომხრეთა დღითიდღე მზარდი მოძრაობის გაძლიერებისა და ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათი სატელიტების აგრესიული პოლიტიკისადმი ხალხის მასების წინააღმდეგობის გაძლიერების გამო შეშინებული ატლანტიკის ბლოკის მონაწილე ქვეყნების მმართველი წრეები იძულებული არიან შეინიღბონ და მანევრობა გასწიონ, რაკი სურთ შეცდომაში შეიყვანონ თავიანთი ქვეყნების ხალხები.

ინგლისი დღემდე უარს ამბობს გადასცეს თავისი ჯარები ამ განზრახულ „ევროპის არმიას", ცდილობს რა შეინარჩუნოს თავისი გავლენა დასავლეთ ევროპაში. ბენილუქსის ქვეყნებმა თავიანთი მხრივ განაცხადეს, რომ „ევროპის არმიაში" მონაწილეობაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდებიან, თუ არმიაში მონაწილეობას მიიღებს ინგლისი. ამრიგად, ამერიკის შეერთებული შტატების ევროპელ ვასალებს შორის სრული არევ-დარევაა. ამერიკის დიპლომატებმა და გენერლებმა ულტიმატურად განაცხადეს რომში, რომ „ევროპის არმიის" საკითხი საბოლოოდ უნდა გადაწყდეს, ხოლო ვადა უნდა მოისპოს არაუგვიანეს თებერვლისა, როცა ლისაბონში უნდა გაიმართოს ატლანტიკის ბლოკის ქვეყნების მორიგი სესია.

უკანასკნელ ხანს პარიზში, ლონდონში, ვაშინგტონსა და ბონში გამალებით ემზადებიან ლისაბონის სესიისათვის. მაგრამ ამერიკის დიპლომატიის მთავარი ამოცანა — უზრუნველყოფილ იქნას აგრესიული ატლანტიკის ბლოკის სისტემაში დასავლეთ გერმანიის „შეყვანის" ამა თუ იმ საშუალების საკითხის საბოლოო გადაწყვეტა — ჯერაც არ არის შესრულებული. „ევროპის არმიის" შექმნა ახალ სიძნელეებს წააწყდა. აღმოჩნდა, რომ ადენაუერის ბონის „სახელმწიფოს" მილიტარისტულმა ზედაფენამ, რომელიც სპეკულაციისათვის იყენებს ვაშინგტონის მისწრაფებას რადაც უნდა დაუჯდეს მიიღოს გერმანელი ჯარისკაცები ეიზენჰაუერისათვის, გადაწყვიტა „უფრო ძვირად გაასაღოს თავისი თავი". ბონის წარმომადგენლებმა პარიზში წარადგინეს მოთხოვნა, რომ დასავლეთი გერმანია დაუყოვნებლივ მიიღონ ატლანტიკის კავშირში და ამასთან „თანაბარი უფლებებით".

საფრანგეთის მთავრობამ, რომელიც იძულებულია ანგარიში გაუწიოს საფრანგეთის საზოგადოებრივ აზრს, განაცხადა, რომ არ ეთანხმება ბონის წინადადებას. ყოველივე ეს იწვევს ვაშინგტონის აშკარა წყრომას. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, შეერთებული შტატები მოითხოვენ, რომ დაუყოვნებლივ აღმოიფხვრას უთანხმოება საფრანგეთსა და ბონის „მთავრობას" შორის, რათა არ დაყოვნდეს ეგრეთწოდებული „დასავლეთ ევროპის თავდაცვითი ორგანიზაციის", ესე იგი აგრესიული „ევროპის არმიის" შექმნა.

ყველა ეს ფაქტი უცილობლად მოწმობს, რომ აგრესორთა ბანაკში ძლიერდება წინააღმდეგობანი. ატლანტიკის კავშირის მონაწილენი ერთმანეთს არ ეთანხმებიან არც ახალი არმიების შექმნის ვადების საკითხში, არც შეიარაღების დაფინანსების საკითხებში და არც ყველაზე მთავარ საკითხში—დასავლეთ გერმანიის მილიტარისტების შეიარაღების დაჩქარების საკითხში. ინგლისელი კონსერვატორების ორგანო „ტაიმსი" ნაღვლიანად აცხადებს, რომ მათი ამერიკელი ბატონები „განსაკუთრებულ იმედებს აღარ ამყარებენ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის ლისაბონის სესიაზე".

ყველა ამ უთანხმოებას საფუძვლად უდევს დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყნის ხალხის მასების მზარდი წინააღმდეგობა ომის პოლიტიკისადმი, ევროპაში ამერიკის იმპერიალიზმის სამხედრო პლაცდარმად დასავლეთ გერმანიის გადაქცევის გეგმისადმი. „ფრანგი ხალხის უდიდესი უმრავლესობის სურვილი ყველასათვის ცნობილია, — აღნიშნავს გაზეთი „ლიბერასიონი". იგი მოკლედ შეიძლება ასე გამოვთქვათ: არ მისცეთ იარაღი გერმანელებს". ასევე კარგად არის ცნობილი სურვილი გერმანელი ხალხისა, რომლის დიდმა უმრავლესობამ აზრი გამოთქვა რემილიტარიზაციის წინააღმდეგ, ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტების „საზარბაზნე ხორცად" გერმანელების გადაქცევის წინააღმდეგ.

მშვიდობისათვის ბრძოლაში გერმანელი ხალხის, ისევე როგორც დედამიწის ყველა ხალხის მზარდი ერთიანობა ბნელ ზრახვებს უფუშავს ომის გამჩაღებლებს, რომლებიც ცდილობენ თავს მოახვიონ კაცობრიობას ახალი მსოფლიო ომი.

### გამცემთა „კონფერენცია"

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესიაზე სავსებით მხილებულ იქნა ამერიკის კონგრესის მიერ მიღებული და ტრუმენის მიერ დამტკიცებული უბადრუკებული „1951 წლის კანონი", რომლითაც შეერთებულმა შტატებმა 100 მილიონი დოლარი გამოყვეს დემოკრატიული ბანაკის ქვეყნებში ძირგამომთხრელი და დივერსიული მუშაობის საწარმოებლად. საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების დელეგატებმა სესიაზე დაამტკიცეს აგრესიული რაზმა ამერიკის ამ ღონისძიებისა, რომლის მიზანია შეაიარაღოს და სუბსიდია აძლიოს მოღალატეთა და გამცემთა ბანდებს და სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის სახელმწიფოთა ტერიტორიაზე შეგზავნოს ისინი.

ამას წინათ პოლონეთში, ბულგარეთში, ჩეხოსლოვაკიასა და უნგრეთში მოწყობილმა მხილებულ მკვლელთა, ჯაშუშთა და დივერსანტთა პროცესებმა ხელი შეუწყეს მრავალი ახალი ფაქტის გამოაშკარავებას. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში უკლებლივ ყველა ანტიხალხური შეთქმულება შთაგონებული და მომზადებულია არა მარტო ამერიკის აგენტურის, არამედ აგრეთვე ინგლისის აგენტურის მიერ. ამას მკვეთრმეტყველურად მოწმობს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან გაქცეული ყოველგვარი ფაშისტისა და სხვა დამნაშავეთა „კონფერენცია", რომელიც ამას წინათ ლონდონში გაიმართა. „კონფერენციაზე" განხილულ იქნა ამ ქვეყნებში ძირგამომთხრელი მოქმედების, ფაშისტური, ექსპლოატატორული წყობილების აღდგენის საკითხი. აღსანიშნავია, რომ „კონფერენციის" მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ბრიტანეთის ზოგიერთმა მინისტრმა.

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობა, ისევე როგორც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, აშკარად შთააგონებს და მხარს უჭერს მტრულ ზრახვებსა და მოქმედებას, რაც მიმართულია სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ, აგრეთვე ხალხთა მშვიდობისა და თანამშრომლობის წინააღმდეგ.

ბ. ლეონტიევი

# კორეის ამბები

## კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი**, 11 თებერვალი. (საქტაგი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ სახალხო მოხალისეებთან მჭიდრო თანამოქმედებით ყველა ფრონტზე განაგრძობენ თავდაცვითს ბრძოლებს ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ, ამასთან ზარალს აყენებენ მათ.

სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა აღმოსავლეთ სანაპიროსთან ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 4 თვითმფრინავი, რომლებიც ცდილობდნენ დაეზვერათ სანაპირო რაიონები.

# ტუნისის ამბები

**პარიზი**, 11 თებერვალი. (საქტაგი). როგორც გაზეთი „ლუმანიტე" იუწყება, გუშინ საფრანგეთის სამხედრო ტრიბუნალმა ბონის კონცხის რაიონში საპოლიციო ჩხრეკა-ჭერის დროს დაპატიმრებულ 15 ტუნისელ პატრიოტს მიუსაჯა 3 თვიდან 5 წლამდე ვადის პატიმრობა. გუშინ ქალაქ სუსში დააპატიმრეს 300 კაცი. საფრანგეთის ჯარები და პოლიცია განაგრძობენ ეგრეთწოდებულ „გაწმენდის" ოპერაციებს ტუნისის სანაპიროზე.

# ჩინური ჟურნალი საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ხელშეკრულების მეორე წლისთავის შესახებ

**პეკინი**, 11 თებერვალი. (საქტაგი). ჟურნალმა „შიძეჯიშიმ" მოათავსა ჩინეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების მეორე წლისთავისადმი მიძღვნილი მოწინავე სტატია სათაურით: „უფრო მტკიცედ დავუკავშირდეთ მეგობრობით საბჭოთა კავშირს".

„ჩინეთისა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა,—აღნიშნავს ჟურნალი,—უდიდესი ძალაა მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლაში. ჩვენი ორი დიდი ხალხის მეგობრობა ჯერ კიდევ 1917 წელს, ოქტომბრის რევოლუციის პერიოდში დაიწყო. ამ დროიდან მოყოლებული სსრ კავშირი ჩინეთს ეპყრობოდა როგორც თანასწორს და ყოველი ღონით ეხმარებოდა ჩვენი ხალხის განთავისუფლების საქმეში".

სტატიაში მოყვანილია ლიუ შაო-ცის 1950 წლის 15 თებერვლის სიტყვის ამონაწერები, რომ სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელშეკრულებასა და შეთანხმებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩინეთის რევოლუციის მონაპოვართა განმტკიცებისათვის, ჩინეთის დანგრეული სახალხო მეურნეობის მალე აღდგენისა და განვითარებისათვის, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის ძლიერების განმტკიცებისათვის, რომელსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს. „საბჭოთა კავშირის ყოვლისმხრივმა დახმარებამ, — ნათქვამია სტატიაში, — შესაძლებლობა მოგვცა მთელი ღონით დაგვეწყო ეკონომიური მშენებლობა". საბჭოთა სპეციალისტებმა, აღნიშნულია შემდეგ სტატიაში, დახმარება გაგვიწიეს მალე აღგვედგინა მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, რომლებმაც თითქმის მიაღწიეს წარსულის ყველაზე მაღალ დონეს. ტრანსპორტი, განსაკუთრებით რკინიგზის ტრანსპორტი, უკვე სავსებით აღდგენილია.

საბჭოთა კავშირი მუდამ მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხებთან ერთად მოქმედებს. იგი მტკიცედ ილაშქრებს იაპონიასთან სეპარატული საზავო ხელშეკრულების წინააღმდეგ, იაპონიის ხელახლა შეიარაღების ამერიკული გეგმების წინააღმდეგ და ყოველ ღონეს ხმარობს, რათა იაპონია დაეყენოს დამოუკიდებლობის, მშვიდობისა და დემოკრატიის გზაზე.

„ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და სსრ კავშირი, — წერს დასასრულ ჟურნალი,—ერთნაირად ფიქრობენ და მოქმედებენ. ჩვენ უფრო განვამტკიცებთ ამ მეგობრობას, უფრო გულმოდგინედ გადმოვიღებთ საბჭოთა კავშირის მოწინავე გამოცდილებას".

# არჩევნები ინდოეთში

**მადრასი**, 11 თებერვალი. (საქტაგი). მადრასის შტატში ადგილობრივი საკანონმდებლო კრების არჩევნების დამთავრებასთან დაკავშირებით საკმაოდ რთული პოლიტიკური მდგომარეობა შეიქმნა. მმართველმა პარტიამ—ინდოეთის ეროვნულმა კონგრესმა ვერ მიიღო ხმების უმეტესობა კრებაში და, როგორც ამტკიცებენ, ამასთან დაკავშირებით ამ პარტიის მადრასის ორგანიზაციის ლიდერები უაღრესად აქტიურად ეწევიან მოლაპარაკებას შტატის საკანონმდებლო კრების დამოუკიდებელ დეპუტატებთანაც, რომლებსაც წინადადებით მიმართავენ დადონ მათთან პოლიტიკური და ეკონომიური გარიგება.

მადრასის შტატში არჩევნების შედეგები ასეთია: პარტია ინდოეთის ეროვნულმა კონგრესმა მიიღო 152 დეპუტატის ადგილი; სოციალისტურმა პარტიამ — 13; „პრაჯა პარტიამ" — 35; კომუნისტურმა პარტიამ—61; „დაბალი კასტების ფედერაციამ"—2; „ლოკ სევაკ სანგმა"—15; სხვა პარტიებმა—34; დამოუკიდებლებმა—63.

ინდოეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა გოპალანმა 10 თებერვალს მადრასში ერთ-ერთ მიტინგზე წარმოთქმულ სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა მადრასის შტატში შეიქმნას ისეთი მთავრობა, რომელშიც შევლენ დამოუკიდებლების, კომუნისტებისა და იმ სხვა პოლიტიკური პარტიების წევრთა კოალიციის წარმომადგენლები, რომელნიც ოპოზიციაში უდგანან მმართველ პარტიას ინდოეთის ეროვნულ კონგრესს. შემდეგ გოპალანმა აღნიშნა: სოციალისტები რომ შეუერთდებოდნენ გაერთიანებულ მემარცხენე ფრონტს, პარტია ინდოეთის ეროვნული კონგრესის წევრებს აღარ ექნებოდათ მთავრობის შედგენის შესაძლებლობის რაიმე იმედი.

მაგრამ კომუნისტებთან თანამშრომლობისადმი სოციალისტური პარტიის ლიდერთა მტრობა ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ დაადასტურა სოციალისტური პარტიის მდივანმა მენონმა თავის გამოსვლაში.

# წყალდიდობა თურქეთში

**სტამბოლი**, 11 თებერვალი. (საქტაგი). როგორც პრესა იუწყება, ძლიერი წვიმების შედეგად, რაც რამდენიმე დღეა გრძელდება, დასავლეთ ანატოლიაში წყალმა დაფარა აიდინის, იზმირის, მანისის, ბალიკესირის და ბურსის ვილაიეთების ვრცელი ფართობები. წყლის დონემ ზოგიერთ მდინარეში, კერძოდ გედიზსა და სუსურლუში, 5 მეტრით აიწია. წყალმა დაფარა რამდენიმე სოფელი. ზოგიერთი დასახლებული პუნქტი ერთმანეთს მოწყვეტილია. დიდად დაზარალდა ნათესები.

# გერმანიის ეკონომიური და პოლიტიკური ერთიანობისათვის

## გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის შინავაჭრობის რწმუნებულის იოზეფ ორლოპის განცხადება

**ბერლინი**, 10 თებერვალი. (საქტაგი). ადნ-ის სააგენტომ გადასცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის შინავაჭრობის რწმუნებულის იოზეფ ორლოპის განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

„პოტსდამის შეთანხმებით გერმანიას აღეთქვა გერმანიის თავისუფალი შინავაჭრობის უფლება. საბჭოთა კავშირის მოთხოვნების შესაბამისად ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმაც ვალდებულება იკისრეს მთლიან ეკონომიურ ერთეულად მიეჩნიათ გერმანია.

1945 წლიდან დასავლეთის სახელმწიფოებმა ბევრჯერ დაარღვიეს ეს საერთაშორისო შეთანხმება, რომელიც გერმანელი ხალხის ინტერესებს შეესაბამება. იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა აღმოსავლეთისაგან დასავლეთ გერმანიის მეურნეობის მოწყვეტა სისტემად გადააქციეს. მათ დასავლეთ გერმანიას თავს მოახვიეს ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ნედლეულის მიმწოდებლის როლი. 1948 წლის ივლისში ამ პოლიტიკას ამერიკელთა საოკუპაციო ხელისუფლების ბრძანებით ზონალური საზღვრების დახურვა მოჰყვა. ამრიგად, უკვე მაშინ დასავლეთის სახელმწიფოებმა, რომელნიც ომის გაჩაღებას ესწრაფვიან, შემდგომი ნაბიჯი გადადგეს გერმანიის ეკონომიური გათიშვის გზაზე. ამ ღონისძიებათა შედეგად დასავლეთი გერმანია მოწყვიტეს არა მარტო გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილს, არამედ მთელ აღმოსავლეთ ევროპასაც. დასავლეთ გერმანიაში სულ უფრო მწვავდებოდა გასაღების კრიზისი, რაც ზიანს აყენებს მეურნეობას.

სანამ ბონის მთავრობა შეიქმნებოდა, გერმანულ ოლქებს შორის მოლაპარაკებასა და სავაჭრო შეთანხმებათა დადებას გერმანელები აწარმოებდნენ, ამიტომ არსებობდა საქონლის გაცვლა, რომელიც ხელსაყრელი იყო ორივე პარტნიორისათვის. მაგალითად, ოკუპაციის მაშინდელ საბჭოთა ზონას გაჰქონდა მარცვლეული, შაქარი, მერქანი, მურა ქვანახშირი, მძიმე სათბობი შიდაწვის ძრავებისათვის, ზუსტი მექანიკისა და ოპტიკის ნაწარმი, ფაიფური, ქსოვილები და სხვ. დასავლეთი გერმანია აწვდიდა სევას, რურის ქვანახშირს, რკინასა და ფოლადს, მანქანებს, ელექტროტექნიკურ ხელსაწყოებს, ქიმიურ ნედლეულს, თევზსა და თევზის პროდუქტებს.

მაგრამ მას შემდეგ, რაც დასავლეთ გერმანიაში ამერიკელთა ხიშტების დახმარებით „სუვერენული" ბონის მთავრობა შეიქმნა, ეს მთავრობა გახდა მხოლოდ და მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების ბრძანებათა შემსრულებელი ორგანო. მას შემდეგ დასავლეთ გერმანიასთან ურთიერთობა სულ მუდამ რთულდება. ამერიკელთა ბრძანებით არსებული ხელშეკრულებებიც კი ირღვევა. დასავლეთი გერმანია მთლიანად ფასგადახდილ საქონელსაც აღარ გზავნის.

ახლა დასავლეთ გერმანიაში სამართალი და კანონი კი აღარ მოქმედებს, არამედ ამერიკელი იმპერიალისტებისა და მათი ხელქვეითების თვითნებობაა. მშვიდობის ბანაკის ქვეყნებთან დასავლეთ გერმანიის ვაჭრობის ჩასახშობად ომის გამჩაღებლები მიწოდების აკრძალვასა და შეწყვეტას როდიღა სჯერდებიან; ისინი უხეშ ძალას იყენებენ.

მაშასადამე, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დასავლეთ გერმანიის ვაჭრობა, ისევე როგორც დასავლეთ გერმანიის საგარეო ვაჭრობა, დასავლეთ გერმანიის ინტერესებს აღარ შეესაბამება: ეს ვაჭრობა მაკლოისა და ადენაუერის შეთანხმებით სავსებით ემორჩილება ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო პოლიტიკის ინტერესებს. იმის შედეგად, რომ ამერიკელები მუდამ ერევიან გერმანიის შინავაჭრობის ბრუნვაში, რომელიც 1949 წელს 600 მილიონ მარკას უდრიდა, ეს ბრუნვა 1951 წელს 200 მილიონ მარკამდე შემცირდა, მაშინ როცა გერმანიის ორივე ნაწილს შორის სავაჭრო ბრუნვა 1936 წელს 2 მილიარდ მარკას უდრიდა.

ჩვენი ხალხი სულ უფრო მტკიცედ მოითხოვს, რომ პოტსდამის შეთანხმების დებულებათა შესაბამისად აღდგენილ იქნას გერმანიის ეკონომიური და პოლიტიკური ერთიანობა".

განცხადების დასკვნით ნაწილში აღნიშნულია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მოსკოვის მომავალ საერთაშორისო ეკონომიურ თათბირს.

# დასავლეთ გერმანიის გაზეთი გმობს ადენაუერის პოლიტიკას

**ბერლინი**, 11 თებერვალი (საქტაგი). ადნ-ის სააგენტოს ცნობით, დასავლეთ გერმანიის ბურჟუაზიულმა გაზეთმა „აახენერ ნახრიხტენმა" გამოაქვეყნა მოწინავე სტატია, რომელშიც გმობს ადენაუერის მილიტარისტულ პოლიტიკას და აცხადებს, რომ, თუ ეს კურსი გაგრძელდა, იგი გარდუვალად გამოიწვევს ქაოსს.

„საგულისხმოა, — წერს გაზეთი, — რომ ამ კაცმა..., რომელსაც არასოდეს არ სცოდნია, თუ რა არის ომი, სამხედრო ფორმა, მძიმე გონებრივი თუ ფიზიკური შრომა, არასოდეს არ უნახავს, როგორია ყაზარმა შიგნით, და ისიც კი არ იცის, თუ რას ფიქრობს ყაზარმის შესახებ „ჩვეულებრივი ადამიანი", უეცრად დაიწყო ლაპარაკი გრძნობებზე, დაიწყო სიტყვებით ჟამბაზობა ტანჯვაზე, იმედის გაცრუებაზე და სხვ. იგი პოლიტიკას ისე ეწევა, თითქოს არასოდეს არაფერი არ გაეგონოს დემოკრატიის არსებობაზე".

სტატიაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ სამხედრო ბეგრის დაგეგმილი კანონის განსახორციელებლად საჭირო სახსრების მიღება შეუძლებელია ისე, რომ დასავლეთ გერმანიისათვის ამას დამღუპველი შედეგები არ მოჰყვეს.

უნდა მოველოდეთ, შენიშნავს გაზეთი, რომ ადამიანებს, რომლებიც გამოთქვამენ გაფრთხილებას ამ დამღუპველი პოლიტიკის გამო, მალე უწოდებენ „უწესოების გამომწვევებს" და „სამშობლოს მოღალატეებს".

# საერთაშორისო ეკონომიური თათბირისათვის

**ბერნი**, 12 თებერვალი. (საქტაგი). მოსკოვის მომავალი საერთაშორისო ეკონომიური თათბირისათვის მზადებასთან დაკავშირებით ეკონომიურ პრობლემათა შემსწავლელმა შვეიცარიის სამმართველომ, რომელიც ჟენევაში იმყოფება, გამოსცა ბიულეტენი, სადაც დასაბუთებულია ერთი მხრივ კაპიტალისტურ ქვეყნებსა და მეორე მხრივ საბჭოთა კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს შორის ვაჭრობის გაფართოების მიზანშეწონილობა.

სათაურით „შვეიცარია და სავაჭრო გაცვლა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის" ბიულეტენში გამოქვეყნებულია ცნობა, სადაც მოყვანილია შვეიცარიელ მეწარმეთა ასოციაციის მოხსენება, რომელშიც ლაპარაკია 1950 წლის პირველ კვარტალში ეკონომიკის ერთგვარ დაქვეითებაზე, ხოლო შემდეგ ნათქვამია, რომ „ეკონომიური მდგომარეობა სრულიად შეიცვალა კორეის ამბების დაწყებასთან დაკავშირებით... შვეიცარიის ეკონომიკის ხელოვნური აღმავლობის ეს მიზეზები მეტად საშიშია ჩვენი ქვეყნისათვის. პირველ რიგში, ისინი აძლიერებენ ომის საფრთხეს. ხელ-ახალი შეიარაღების პროგრამის წაქეზების გზით ახლანდელი საერთაშორისო დაძაბულობისათვის ხელის შეწყობა ცეცხლთან თამაშს ნიშნავს. უფრო გონივრული იქნებოდა გამოძებნა ჩვენი დროის ეკონომიურ პრობლემათა სხვა გადაწყვეტა".

„შვეიცარიის საგარეო ვაჭრობის იმ ბაზრებზე ორიენტაცია,—აღნიშნულია დასასრულ ცნობაში, — რომლებსაც შეერთებული შტატები უწევენ კონტროლს, იმის საფრთხეს ქმნის, რომ ჩვენი ისედაც სუსტი ეკონომიური ცხოვრება ამერიკის ბაზრის მოულოდნელ მკვეთრ ნახტომებზე დამოკიდებული გახდეს".

# მშვიდობის მომხრეთა მიტინგი თეირანში

**თეირანი**, 11 თებერვალი. (საქტაგი). როგორც გაზეთი „ბესუ აინდე" იუწყება, თეირანის „მშვიდობის სახლში" გაიმართა მიტინგი, რომელიც მოაწყო ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა რეგიონალური კონგრესის მომწვევმა ირანის მოსამზადებელმა კომიტეტმა.

მიტინგს დაესწრო მშვიდობის რამდენიმე ათასი მომხრე. მშვიდობის მომხრეთა ირანის საზოგადოების გამგეობის წევრმა დოქტორმა აკილიმ თავის სიტყვაში მტკიცე პროტესტი განაცხადა ამერიკელ იმპერიალისტთა იმ პოლიტიკის წინააღმდეგ მსოფლიოს ყველა ნაწილში, და კერძოდ ახლო აღმოსავლეთსა და ირანში, რომლის მიზანია ომის გაჩაღება.

მიტინგზე შეკრებილმა მშვიდობის მომხრეებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც, კერძოდ, აღნიშნულია, რომ ირანელი ხალხის ბრძოლა ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაციისა და ირანში იმპერიალისტთა გავლენის სრული აღმოფხვრისათვის ამავე დროს მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლაა; ეს ბრძოლა მთელი ენერგიით უნდა გაგრძელდეს სრულ და საბოლოო გამარჯვებამდე.

„ირანელი ხალხი, — ნათქვამია შემდეგ რეზოლუციაში, — მტკიცედ მოითხოვს იმპერიალისტთა ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას ეგვიპტიდან, სუდანიდან და ტუნისიდან. ირანის მთავრობამ და საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა დაიცვან ეგვიპტელი ძმების სუვერენიტეტის უფლება და მხარი დაუჭირონ მათ ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში".

რეზოლუციაში დაგმობილია იმპერიალისტთა შეთქმულებანი, რომელთა მიზანია აიძულონ ეგვიპტე შევიდეს ახალი ომის გაჩაღებისაკენ მიმართულ შუა აღმოსავლეთის ბლოკში. „ახლო და შუა აღმოსავლეთის ხალხები,—აღნიშნულია რეზოლუციაში, — იბრძოლებენ შუა აღმოსავლეთის ყოველ ასეთ ბლოკში თავიანთი ქვეყნების ჩათრევის წინააღმდეგ".

## ნეკროლოგი

### თამარ ბირკაძე

მიმდინარე წლის 11 თებერვალს [illegible] ავადმყოფობის შემდეგ [illegible] საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილე ამხ. თამარ მინას ასული ბირკაძე.



თ. ბირკაძე დაიბადა 1915 წელს სოფელ ბანაში (გორის რაიონი). 1929 წელს დაამთავრა ხაშურის არასრული საშუალო სკოლა, შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში. 1932 წლიდან მუშაობდა ამავე ფაბრიკაში ქსოვის ინსტრუქტორად. ფაბრიკაში მუშაობასთან ერთად თ. ბირკაძე განაგრძობს მეცადინეობას საშუალო განათლების მისაღებად, რის შემდეგ შედის სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელსაც ამთავრებს 1938 წელს. ამავე წელს შედის პარტიის რიგებში.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ თ. ბირკაძე სხვადასხვა პასუხსაგებ სამუშაოებზეა. იგი აირჩიეს სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. მუშაობდა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნად. 1941 წლიდან მუშაობდა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილედ.

ამხ. თ. ბირკაძე დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის" ორდენით და ორი მედლით.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სისტემაში ენერგიული, დაუღალავი მუშაობით თ. ბირკაძემ დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა შორის.

ამხ. თამარ ბირკაძის ხსოვნა დაუვიწყარი რჩება მისი ამხანაგებისათვის.

**ამხანაგების ჯგუფი**

# სამეცნიერო-პოპულარული ფილმების ქართული ვარიანტები

თბილისის ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიის სადოკუმენტო და ტექნიკური ფილმების განყოფილება მალე ეკრანზე გამოუშვებს სამეცნიერო-პოპულარული ფილმების ქართულ ვარიანტებს.

ეკრანზე გამოსაშვებად მზადდება კინოფილმები „მიჩურინის გზით", „ჩაის კულტურა", „აბუზარა", „როგორ დავიცვათ შინაური საქონელი ავადმყოფობისაგან", „ციტრუსოვანი კულტურები ახალ რაიონებში", „სოფლის მეურნეობის ახალი ამბები" და სხვ.

# ლექცია

13 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიკომის პარტკაბინეტში შედგება ამხ. სულეიმანის ლექცია თემაზე: **„სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა"**.

# დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

**პირველი გვერდი** — „პრავდის" 12-II მოწინავე — ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლის ნიშნით.

მეცნიერებისა და გამომგონებლობის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტში.

საერთო სათაურით „სახელოვანი თარიღების შესახვედრად" წერილები: ბათუმის ახალი თეატრი. ბულაჩაურის წყალსადენის მშენებლობაზე. დაზოგილი მასალებით. მოწინავე საამქრო.

**მეორე გვერდი** — ბათუმის ისტორიულ ადგილებში—პირველი გაფიცვა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით.

ძირითადი ტიპის წრეში მეცადინეობის ჩატარების მეთოდიკის შესახებ.

მ. მაზანაშვილი — ტრაქტორების რემონტი კვანძური მეთოდით. ნ. კვარაცხელია — განვავითაროთ საზოგადოებრივი მეურნეობის ყველა დარგი.

**მესამე გვერდი** — კრიტიკა და ბიბლიოგრაფია — ვ. ტატიშვილი— ქართველი საბჭოთა დრამატურგების პიესების შესახებ.

ნ. მიხაილოვი — ახალ ჩინეთში.

ნ. ვ. გოგოლის გარდაცვალების 100 წლისთავისათვის.

მკითხველთა წერილები — გ. რომანოვსკი — პროფესიების შეთავსების შესახებ. ხ. ქობულოვი — შემხვედრი ვაჭრობა საკოლმეურნეო ბაზარზე. ა. არუთინოვი — ლექტორიუმი მშობელთათვის.

რედაქციის ფოსტიდან — შესახვევი ქაღალდი.

**მეოთხე გვერდი** — უცხოეთის ინფორმაცია. ქალაქის ქრონიკა.

რედაქტორის მოადგილე
**ი. ნატროშვილი**

# საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

**(რადიოსადგურებით 1224 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)**

## 14 თებერვალს

6.25 — ქართული ხალხური სიმღერები. 11.10 — კონცერტი ნ. ნარიმანიძის ნაწარმოებებიდან. 17.15 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები. 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის. 18.15 — ქართული სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 19.15 — კონცერტი რუს კომპოზიტორთა ნაწარმოებებიდან. 19.45 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის. 20.50 — ნ. ვ. გოგოლის გარდაცვალების 100-წლისთავისადმი მიძღვნილი გადაცემის ტრანსლაცია მოსკოვიდან.

# დღეს თეატრებში

**ოპერისა და ბალეტის** — ტრუბადური (დონატ დონატოვის მონაწილეობით, მე-11 აბ.); **რუსთაველის სახელობის** — ადამიანებო, იყავით ფხიზლად; **მარჯანიშვილის სახელობის** — რევიზორი; **გრიბოედოვის სახელობის**—მგლები და ცხვრები (36-ე, 37-ე აბ.); **სომხური დრამის** — ნამუსი; **მუსკომედიის**—ცანის დედოფალი (მე-12 აბ.); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — კოკიძე (54-ე აბ. 5 ს.); **ხანკულტურის**— მეგობრები; **ცირკი**—დიდი საცირკო წარმოდგენა.

ბიძაშვილები გიორგი, ბესო, ვლადიმერ, არტემ, საშა, მიშა, ვახტანგ, პარიმონ, პანტელეიმონ, პიმენ და სიმონ ყურაშვილები ოჯახებით იუწყებიან **ლეონტი გიოს-ძე ყურაშვილის** გარდაცვალებას.

საქართველოს სამკერვალო და სატრიკოტაჟო მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი და სამკერვალო სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან **თამარ მინას ასულ ბირკაძის** გარდაცვალებას.

რძალი ბაბუცა, ძმა მალაქია ბარკალაიები, ძმისწული ნინო, სიძე კაკო შვილით ზაირათი ჩახუნაშვილები იუწყებიან **ანდრო ანდრიას-ძე ბარკალაიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 13-II, 8 ს. გამოსვენება 14-II, 5 ს. ჯანაშიას, 4.

შვილები შოთა, ვანო აგლაძეები, დები ქრისტინე, მატრონე, ნუცა, თებრონე, ელენე, ძმა გიგო ოჯახებით, ბიძაშვილი კალისტა მეუღლით ილია ქველიძით იუწყებიან **ხონა ივანეს ასულ აგლაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 13-II, 7 ს. გამოსვენება 14-II, 5 ს. სამხედრო გზა, 11.

მეუღლე ქრისტინე, შვილი თამარ, სიძე ბ. გაგნიძე, შვილიშვილი გულნაზი, ძმისწული ლოლა საბანაძე, ბიძაშვილი შალვა ნაცვლიშვილი ოჯახებით, მარიამ, გივი გაგნიძეები იუწყებიან **დავით სოფრომის-ძე ნაცვლიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 15-II სოფ. შქმერში (ონის რაიონი).

ძმა სილოვან, რძლები ქრისტინე, ტერეზა, შვილიშვილები ამირან, ავთანდილ, ბორის აბშილავები, გივი და ნოდარ ლალიაშვილები, ეთერ კერძაია, ეთერ გეგეჭკორი იუწყებიან **ბურდღა ზუხის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 16-II ცხაკაიაში, გამოსვენება ჭავჭავაძის, 109.

მულები გუგული ბაგრატიონი, ემა აზატიანი, მაზლები ბორის და ვლადიმერ დოლიძეები, მაზლიშვილები თამარ, ირაკლი, ნატალია, მარინე იუწყებიან **თამარ ბირკაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 13-II, 8 ს. გამოსვენება 14-II, 5 ს. ზაზალეთის, 7.

მეუღლე მალაქია, შვილები შოთა, თამარ, მულები ოლა, კატო ოჯახებით იუწყებიან **კატო პავლეს ასულ კალმახელიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 13-II, 7 ს. გამოსვენება 14-II, 5 ს. ლენინის I გასავალი, 31.

მეუღლე მარო, შვილები ვახტანგ, ეთერ, ოთარ, დები ანიჩკა, ნადია, სიძე დ. მაისურაძე, შვილიშვილი მანანა იუწყებიან **ანდრო ანდრიას-ძე ბარკალაიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 13-II, 7 ს. გამოსვენება 14-II, 6 ს. ჯანაშიას, 4.

მეუღლე ელისაბედ, შვილები ნიკოლოზ, ნატა, შვილიშვილი თამაზ გორდეზიანი იუწყებიან **ალექსი სამსონის-ძე ხიდეშელის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15-II, 8 ს. გამოსვენება 16-II, 5 ს. სამთავისის, 9.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურის, უფროსი ცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 00232